ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 278 (20019) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲘᲯᲐᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ,

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ

ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ, ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲑᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ამხანაგებო!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა ხალხი უდიდეს მუშაობას ეწევა ეკონომიკის, ჩვენი საზოგადოების მთელი ცხოვრების გარდასაქმნელად. პარტიის პრაქტიკული მუშაობის ცენტრში დგას ადამიანი მისი ინტერესებითა და მოთხოვნილებებითურთ. სოციალურ პრობლემათა გადაჭრის მრავალ საკითხთაგან წინა პლანზე დადგა ამოცანა — ორ-სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების სასურსათო უზრუნველყოფა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა თავდადებული გარჯის შედეგად სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა.

დადებითი ძვრები დაისახა სოფლის მეურნეობის საბაზო დარგში — მიწათმოქმედებაში. მეცნიერულად დასაბუთებული მიწათმოქმედების სისტემების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების ასათვისებლად გაწეულმა მიზანმიმართულმა მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზარდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოება. ამ პერიოდში მარცვლეულის საშუალო წლიურმა მთლიანმა მოსავალმა გადაამეტა 210 მილიონ ტონას, ანუ მატებამ მეთერთმეტე ხუთწლედის დონესთან შედარებით შეადგინა 17 პროცენტი. გაიზარდა შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას და სხვა კულტურების წარმოება. საგრძნობი თვისებრივი ცვლილებები ხდება საკვებწარმოებაში.

ბოლოდროინდელი მიღწევები მოწმობს, რომ მიწათმოქმედებაში მიმდინარე გარდაქმნა თანდათან ძლიერდება. ამავე დროს, როდესაც ობიექტური ვადასებთ საქმის მდგომარეობას, არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კულტურების, მეტადრე მარცვლეულის, აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის მთლიანი მოსავალი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს და არსებითად ჩამორჩება საურსათო პროგრამის დავალებას.

ამიტომ შექმნილია მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების რეალური შესაძლებლობანი.

ამ მხრივ გარდამტეხი უნდა გახდეს 1988 წელი, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ამ წლის სახელმწიფო გეგმით მიწათმოქმედთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. მარცვლეულის მთლიანი მოსავალი საერთოდ ქვეყანაში მეთერთმეტე ხუთწლედში მიღწეულ საშუალო წლიურ დონესთან შედარებით გათვალისწინებულია გაიზარდოს 30 პროცენტით. ზეთოვანი კულტურების წარმოება უნდა გაიზარდოს 34 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 21, ბამბის ბოჭკოსი — 4, სელის პროდუქციისა — 19, უხეში და წვნიანი საკვებისა — 16 პროცენტით. დიდი მიჯნები უნდა დავლაშქროთ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა კულტურების დამზადებაში. რა პირობებიც უნდა შეგვექმნას, საჭიროა არათუ მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭრებიც შევასრულოთ გეგმები, რათა მაქსიმალურად შეავსოთ 1986-1987 წლებში დაშვებული პროდუქციის დანაკლისი.

ეს უდავოდ რთული ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება ჩვენ შეგვიძლია. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახლანდელ ეტაპზე ყველა ობიექტური პირობაა შექმნილი სიმისოდ, რომ განვახორციელოთ თავისებური ნახტომი მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ზრდაში. ბოლო ორი წლის გამოცდილებამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ეს პირობები სრულად გამოიყენეს, იქ, სადაც კოლექტიური იჯარა და სამეურნეო ანგარიში დანერგეს და სწორად გამოიყენეს ინტენსიფიკაციის საშუალებანი, მკვეთრად გაიზარდა მარცვლოვანი და სხვა კულტურების მოსავლიანობა.

ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების, ინტენსიური ტექნოლოგიების ათვისების, კადრების დოსტატებისათვის მიმდინარე გულმოდგინე მუშაობის მეოხებით მიღწეული მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა ბელორუსიის, ჩერკასის, ტერნოპოლის, იმიერკარპატეთისა და კიევის ოლქების მეურნეობებში.

ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიაღწია პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ დონეს და უკვე ჰექტარზე იღებს 70-80 ცენტნერ ხორბალს, 80-90 ცენტნერ ბრინჯს, 100 ცენტნერზე მეტ სიმინდს, 25-30 ცენტნერ მზესუმზირას, 500 ცენტნერზე მეტ შაქრის ჭარხალსა და ბოსტნეულს, 300-400 ცენტნერ კარტოფილს.

ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ იმ მეურნეობათა გვერდით, რომლებიც უხვ მოსავალს იღებენ, მრავლად არიან კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც თანაბარ პირობებში გაცილებით ნაკლებ პროდუქციას იწვევენ.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ბევრ მეურნეობაში მცირე მოსავალის განაპირობებს უმთავრესად ტექნოლოგიური დისციპლინის ყოვლად უხეში დარღვევები, მიწათმოქმედების სისტემათა ნელი ათვისება, ჩამორჩენილი მეთესლეობა, სასუქის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, ტექნიკისა და სხვა რესურსების უყაირათო გამოყენება, მინდვრის სამუშაოთა შესრულების ვადების დაუცველობა.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევა სავსებით შესაძლებელია, თუ ნამდვილად გამოვავლენთ და გავაქტიურებთ ადამიანის ფაქტორს, მის შემოქმედებითს პოტენციალს, შევქმნით შრომითს კოლექტივებში ისეთ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, ისეთ ეკონომიკურ პირობებს, რომ ყოველი მშრომელი მიწის ჭეშმარიტ ბატონ-პატრონად გრძნობდეს თავს. როგორც უკანასკნელი წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, ამის უზრუნველყოფის საშუალებას გვაძლევს სამეურნეო ანგარიში და შრომის ანაზღაურება მთლიანი შემოსავლის მიხედვით, კოლექტიური, საოჯახო და საარენდო იჯარა. თუ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას ხელმძღვანელები და სპეციალისტები ფორმალურად კი არა, საქმიანად მიუდგებიან, მაშინ შედეგიც არ დააყოვნებს, და ჩვენ შევძლებთ ჩამორჩენილი მეურნეობანი მოსავლიანობის მიხედვით მოწინავეთა დონეზე ავიყვანოთ. ეს მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ზრდის უდიდესი რეზერვია.

დასახული მიჯნების მიღწევის მიზნით საჭიროა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გავითვალისწინოთ მუშაობის შედეგები, შემქნილი გამოცდილება, დაშვებული შეცდომები და ამის საფუძველზე შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ქმედითი ორგანიზაციული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მაქსიმალური მოსავლის მიღებას ყოველ მინდორში, ყველა სახეობის მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ წელიწადის შექმნილი პირობებიც. მათ აქვთ დამახასიათებელი თავისებურებანი და სიძნელენი. საგაზაფხულო ხვნის გაზრდილ მოცულობას, მზრალად ხვნის გეიან ვადებს ნიადაგის ძლიერი პარბტეწიანობისა და მეტისმეტი გამკვრივების პირობებში შეიძლება შედეგად მოჰყვეს მინდვრების დასარეველიანების ზრდა, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მოწყობაში დაძაბულობას და მოითხოვს ტექნოლოგიის ისეთ კორექტირებას, რომ არ დავუშვათ მოსავლის დანაკლისი.

წინა პლანზე უნდა დავაყენოთ ზრუნვა ქვეყნის სასურსათო ფონდის საფუძვლის — მარცვლეულის წარმოების ზრდისათვის. ახლა მარცვლეულის პრობლემას მარტოოდენ სოციალურ-ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება. აქამდე იძულებული ვართ დიდალი მარცვლეული საზღვარგარეთ შევისყიდოთ. მარცვლეულის პრობლემის, მისი რაციონალური გამოყენების საკითხების ვადაწყვეტა ნიადაგ უნდა იყოს თითოეული პარტიული ორგანიზაციის, ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, თითოეული მიწათმოქმედის ყურადღების ცენტრში.

უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ სიმინდის დიდი შესაძლებლობანი, რომლებსაც მისი მოვლა-მოყვანის ტრადიციულ რაიონებშიც კი ჯეროვნად არ აფასებენ. ამ მიზნით ფართოდ უნდა დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას პესტიციდების ნაკლები ხარჯის პირობებში, უზრუნველვყოთ ყოველი ტექნოლოგიურ ოპერაციის ზუსტი შესრულება — თესლის მომზადებით დაწყებული და მოსავლის აღებთა და შენახვა-დამუშავებით დამთავრებული.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საკვებწარმოების ინტენსიფიკაცია. უნდა მივაღწიოთ ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობას, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ საკვების დაცვა-შენახვა და ავამაღლოთ მისი ხარისხი, დავაჩქაროთ საკვები ცილის პრობლემის გადაჭრა. ამასთან ყურადღება უნდა დაეთმოს სამარცვლე ტექნოლოგიით სასილოსე სიმინდის, სამარცვლე-პარკოსანი კულტურების, რაფსის, სოიის, მრავალწლოვანი ბალახის, საკვები ძირხვენების მოვლა-მოყვანის გაუმჯობესებას.

უხვი მოსავლის მიღების საიმედო წანამძღვრების შესაქმნელად ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხუთწლედის მესამე წელს ყოველმხრივ და დროულად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, მოვაწყოთ იგი ორგანიზებულად საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე. უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ თესლის დროული მომზადებისათვის. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ არაშავმიწანიდაგიანი ზონის, ურალის, ციმბირისა და ყაზახეთის მრავალი მეურნეობა სრულად არ არის უზრუნველყოფილი თესლით. დიდძალ თესლს დაქვეითებული აქვს ალოკვნების უნარი. უნდა უზრუნველვყოთ მარცვლეულის საწმენდ-საშრობი კომპლექსების მუშაობა, რათა უფრო სწრაფად დავამთავროთ თესლის წმენდა და შრობა, გადავარჩინოთ სათესლე კონდიციის მარცვლეული.

საგაზაფხულო თესვის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული ტექნიკის დროულ და საიმედო მომზადებაზე. ამოცანა ის არის, რომ ყოველ მეურნეობაში შევქმნათ სტაბილური ბრიგადები და რგოლები, მაქსიმალურად დაფტვირთოთ სახელოსნების სიმძლავრენი, დავნერგოთ მანქანების აღდგენის პროგრესული მეთოდები და ტექნოლოგიები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სათესი და ნიადაგდასამუშავებელი მანქანები მთლიანად იყოს გამზადებული სამუშაოდ არა უგვიანეს 1 თებერვლისა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ შეკეთების ხარისხს, რეგულირებისა და ტექნოლოგიური გამართულობის სიზუსტეს. ყოველი მანქანის მიღებას უნდა უძღვოდნენ სპეციალური კომისიები იმათი მონაწილეობით, ვინც სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და მინდვრად იმუშავებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ 1987 წლის მოსავლის აღების გაკვეთილიდან. არ შეიძლება დაუშვათ ისეთი შეცდომების გამეორება, როდესაც ტექნიკის უხეირო და დაგვიანებული მომზადების გამო ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ძალზე გაჭიანურდა მოსავლის აღება, რამაც ჭირნახულის მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოიწვია. უაღრესად საჭიროა შევავსოთ მოსავლის ასაღები მანქანების პარკი, განვახორციელოთ ღონისძიებანი საკალო და საწმენდ-საშრობი მეურნეობის განსამტკიცებლად, პროდუქციის შესანახი და გადასარჩევი საცავების გასაღიდებლად. დავამთავროთ მთელი მოსავლის ასაღები ტექნიკის შეკეთება 1 აპრილისათვის.

ძირეული გარდატეხა უნდა უზრუნველვყოთ ყოველი მელიორირებული ჰექტარის გამოყენებაში. ამისათვის საჭიროა გავზარდოთ მელიორატორების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ყველა შრომითი კოლექტივის პასუხისმგებლობა სულ ცოტა საპროექტო მოსავლიანობის მიღებისათვის. დროულად და ხარისხოვნად მოვამზადოთ სარწყავი და დაშრობილი მიწები, შევაკეთოთ სამელიორაციო სისტემები და სარწყავი ტექნიკა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ვიღონოთ, რათა სპეციალური ანგარიშით უზრუნველვყოთ ამ სავარგულების დიდი უკუგება.

უაღრესად საჭიროა ყველგან ორგანიზებულად განვახორციელოთ ზამთრის აგროღონისძიებანი, დავაგროვოთ თესლისათვის ნიადაგში საკმარისი რაოდენობის ტენი, მოვიმარაგოთ სასუქი, პესტიციდები, საწვავ-საპონი მასალა, უზრუნველვყოთ საგულდაგული კონტროლი საშემოდგომო ნათესის მდგომარეობისა და მოვლისადმი.

ყველა კულტურის მოსავლიანობის ზრდის მაგისტრალური გზაა ინტენსიური ტექნოლოგიების საყოველთაო ათვისება; მათი ფართობები 1988 წელს გაიზრდება 50 მილიონ ჰექტარამდე, აქედან მარცვლოვანთა — 39 მილიონ ჰექტარამდე. სწორედ აქ უნდა მოვუყაროთ თავი ტექნიკას, სასუქებს, სხვა მატერიალურ საშუალებებს, ძალებს და დავძაბოთ ყურადღება, რათა მივიღოთ მაქსიმალური უკუგება.

მეცნიერთა, სპეციალისტთა და მოწინავეთა ფართო მონაწილეობით, რომლებიც სრულყოფილად არიან დაუფლებულნი ამ ტექნოლოგიებს, შექმნილი ვითარებისა და მცენარეთა ბიოლოგიის გათვალისწინებით, თითოეული მინდვრისათვის უნდა შევიმუშაოთ ტექნოლოგიური რუკები, სამუშაო გეგმები, უზრუნველვყოთ ტექნოლოგიური დისციპლინის უმკაცრესი დაცვა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ყველა ეტაპზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმეში წვრილმანები არ არის, და გამარტივება შეუწყნარებელია. ტექნოლოგიის ოდნავი გადახვევაც კი ამცირებს მოსავლიანობას. საჭიროა ფართო გზა გავუხსნათ ბოსტნეულს, სიმინდს, შაქრის ჭარხლისა და სხვა სათოხნი კულტურების ასტრახანული ტექნოლოგიის დანერგვას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მოსავალი და შევამციროთ ჰერბიციდების ხარჯი, შევუმსუბუქოთ სქმე მექანიზატორებს.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას მეცნიერული უზრუნველყოფა. სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის საფუძველზე საბაზო მეურნეობის, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო სისტემების, ორგანიზაციის გზით მივაღწიოთ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების მასობრივ ათვისებას, უფრო მჭიდროდ გავაერთიანოთ სწავლულთა და სპეციალისტთა, მეცნიერებისა და წარმოების ძალისხმევა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში.

დასახული ამოცანების შესრულება უფრო ნარეკად ადამიანზე, მისი პროფესიული და ეკონომიკური ცოდნის დონეზე, კულტურაზე, ყოველივე ახლისა და მოწინავის აღქმის აღლოწყოს დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით უნდა მოეწყოს ყველა მოწამთმქმედის გადამზადება და სწავლება ზამთრის პერიოდში. უნდა აღმოვფხვრათ ფორმალიზმი, გადავიდეთ პრაქტიკულ სწავლებაზე ჩვენების მეთოდით, ყოველი ტექნოლოგიური პროცესისა და ოპერაციის განხორციელების წესებისა და რეგულირების ნერხების დაუფლებაზე. სავალდებულო უნდა გახდეს სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა პრაქტიკული ატესტაცია.

ახლანდელ პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება სპეციალისტთა როლი და პასუხისმგებლობა მეურნეობებში. ისინი უშუალოდ უნდა მუშაობდნენ სამეურნეოანგარიშიან რგოლში, ბრიგადაში, შრომითს კოლექტივში და სრულად აგებდნენ პასუხს საბოლოო შედეგებისათვის, გახდნენ ტექნოლოგიურ სისტემათა ათვისებისა და შემდგომი სრულყოფის ჭეშმარიტი ორგანიზატორები.

მთავარია, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სრულად დავრაზმოთ ადამიანები, მივაღწიოთ წარმოების მთელ საშუალებათა თადარიგებან და რაციონალურ გამოყენებას, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ჩვენი ეროვნული სიმდიდრის — მიწისადმი. უფრო ფართოდ უნდა ვნერგავდეთ მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, შიდასამეურნეო ანგარიშს, დანახარჯების კონტროლის სიჩეკო ფორმას, კოლექტიურ, საოჯახო, საარენდო იჯარას, შრომის ანაზღაურებას მთლიანი შემოსავლის მიხედვით. მიწათმოქმედთა წინაშე დასახული ასეთი რთული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს, რომ არსად არ იყოს გაუპიროვნება, რომ ყოველ სამუშაო ადგილზე შრომობდეს ნამდვილი ბატონ-პატრონი, რომელიც თავისი სახელითა და სინდის-ნამუსით აგებს პასუხს მთელი არსებული რესურსების გამოყენებისათვის.

მოსავლისათვის გაჩაღებულ საერთო ბრძოლაში დიდი როლი განეკუთვნება სახელოვან მუშათა კლასს, ჩვენს სოციალისტურ ინდუსტრიას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს სოფლის შეკვეთების შემსრულებელ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს და მოუწოდებს დროულად მიაწოდონ მანქანები, მარაგნაწილები, ნავთობპროდუქტები, მინერალური სასუქები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, მნიშვნელოვნად აამაღლონ მათი ხარისხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ მექანიზატორები, სამეურნეოანგარიშიანი საიჯარო კოლექტივების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების სპეციალისტები და ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაზარდონ მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მარცვლეულის, საკვებისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოება, სასურსათო რესურსების ზრდის საუცხოო შედეგებით შეხვდებიან XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲦ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ. ᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲔᲚᲘ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ.

ᲛᲐᲨ, ᲐᲮᲚ: ᲣᲐᲮᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ შეასრულეს თერმეტი თვის საწარმოო დავალებანი ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნის მშრომელებმა. თვიანთი წარმატებით მეკაბელეები განსაკუთრებით ამაყობენ — მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყალდიდობის გამო ზომ ეს საწარმო 24 დღეს მოცდა.

საგეგმო ორგანოებმა გაითვალისწინეს ეს ობიექტური ვითარება და კოლექტივის გეგმა 600 ათასი მანეთით შეამცირეს. მაგრამ მშრომელებმა გადაწყვიტეს აენაზღაურებინათ დაკლებული პროდუქციის გამოშვება. უკვე დღეს მათ კომპენსაციის წესით გამოუშვეს 400 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო დეკემბრის დამლევს ქარხანა მიაღწევს ხუთწლედის ორი წლის დავალებით განსაზღვრულ მიჯნას.

▲▲

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების 250-ზე მეტმა მშრომელმა ვადაზე ადრე შეასრულა პირადი წლიური დავალებანი. მათ აგრეთვე გააუმჯობესეს ნაწარმის ხარისხი, გააფართოეს და განაახლეს მისი ასორტიმენტი. წლის დამდეგიდან ნაკადურად გამოუშვებენ 38 ახალი მოდელის ტანსაცმელს.

გაერთიანების კოლექტივი აპირებს ვადამდე შეასრულოს ხუთწლედის მეორე წლის დავალებანიც, გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია, ძირითადად დაზოგილი მასალების — სანედლეულო და ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე.

▲▲

ᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲜ ᲧᲐᲛᲘᲠᲡ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გაჩაღდა შეჯიბრება დევიზით: „თითოეული მტკაველი მიწა სოუტვის სამსახურში“. მხვნელ-მთესველები ამაღლებენ მიწათმოქმედების კულტურას, ითვისებენ ახალ მიწებს.

ორბეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ უკვე 30 ჰექტარზე მეტი ყამირი გატეხა. რეკულტივაციის შემდეგ აქ დათესება საგაზაფხულო მარცვლეული და საკვები კულტურები. ყამირს ითვისებენ ჯორჯიაშვილის, ვაშლოვანის, ასურეთის, მანგლისისა და სხვა საბჭოთა მეურნეობები. მომავალ გაზაფხულზე სახნავ-სათესს შეემატება 300 ჰექტარზე მეტი ახალი მიწა.

მიწების ათვისების პროგრამა შემუშავებულია რამდენიმე წლისათვის. ხუთწლედში რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთლიანად ათვისებენ 2700 ჰექტარს. პარალელურად მიმდინარეობს მიწების გასარწყავება.

სწორედ ასეთი გეგმაზომიერი საქმიანობის შედეგია ის, რომ წლეულს, რაიონში, არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, მიღებულია მარცვლეულის ისეთი მოსავალი, როგორიც არასდროს არ ყოფილა.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲠᲔᲒᲐᲜᲡᲗᲐᲜ

შეხვედრის დროს. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ).

1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრს რ. ჰოუკს. იგი მიესალმა სტუმარს და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში აფასებენ ავსტრალიის მთავრობის ძალისხმევას ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ავსტრალიისა და სსრ კავშირის პოლიტიკური თანამშრომლობა ესაყვისება ისეთი უზარმაზარი და მრავალფეროვანი რეგიონის პრობლემატიკას, როგორიც არის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი. პროგრამა, რომელიც ვლადივოსტოკში წამოვაყენეთ, სთავაზობს ყველას ვეძებოთ ინტერესების ბალანსი და ამ საფუძველზე წარვმართოთ გონივრული ურთიერთობა. ჩვეულების განსხვავება, დღევანდელი მსოფლიოს მრავალფეროვნება ნაკლი კი არა, რეალობაა, რომელიც უსათუოდ უნდა ვაღიაროთ და გავითვალისწინოთ. რაც შეეხება იდეოლოგიურ სხვადასხვაობას, იგი არ უნდა გადავაქციოთ პოლიტიკურ და მეტადრე სამხედრო კონფრონტაციად და, რაღა თქმა უნდა, მან არ უნდა დააბრკოლოს ეკონომიკური თანამშრომლობა, ვაკრობა.

რ. ჰოუკმა თქვა, რომ ისწრაფვის უკეთ გაიგოს სსრ კავშირში მიმდინარე პროცესები, აღნიშნა, რომ იგი მიესალმება გარდაქმნას, უსურვებს მას წარმატებას და რომ გარდაქმნის ერთ-ერთი შედეგი გახდება სსრ კავშირის უფრო ფართო ჩაბმა მსოფლიო ეკონომიკაში. მ. ს. გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა ამ აზრს და ხაზგასმით აღნიშნა სხვა ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის იმ ახალი ფორმების მნიშვნელობა, რომლებიც გარდაქმნას უკავშირდება.

ზოგ-ზოგებს ჰგონით, აღნიშნა მან, რომ ის, რაც კარგია საბჭოთა კავშირისათვის, ცუდია სხვებისათვის. გარდაქმნის საჭიროება ჩვენი ქვეყნის შინაგანი მოთხოვნილებებით არის გამოწვეული. მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ მისი ნაყოფი გამალებულ შეიარაღებასა და საბრძოლო პოტენციალის ზრდაზე დაიხარჯოს. ჩვენი მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეს არავის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ხოლო ის, რომ გარდაქმნა სახეს უცვლის საბჭოთა კავშირს და ხელს უშლის „მტრის სახის“ კულტივირებას, ორთქეს არგუმენტებს გამალებული შეიარაღების მომხრეებს — ესეც ასევე მშვიდობის საქმეს რგებს. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღების დაწყების, კონფრონტაციისათვის ბოლოს მოღების გაგება იზრდება მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერ

მასების კონტროლიდან

საზოგადოებრივი კონტროლი

ოთხშაბათი

№ 232

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

კვლავ ძველებურად აზროვნებენ და მუშაობენ

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა ბახარაძისა და ქობულეთის კოოპერაციებში მოსახლეობისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და რეალიზაციის ორგანიზაციის გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ბახარაძისა და ქობულეთის კოოპერაციებმა ელმძღვანელობამ არ მიიღეს გადამწყვეტი ზომები ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და ვაჭრობის საქმეში არსებული რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისათვის.. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო რესურსების მნიშვნელოვანი რეზერვებია. კოოპერაციული ორგანიზაციები კი ამ საქმეში ვერ იჩენენ მოქნილობას და სულ უფრო ამცირებენ პროდუქტების შესყიდვის მოცულობას. მაგალითად, ქობულეთის კოოპვაჭრობამ 1987 წლის 9 თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსახლეობისაგან 60 პროცენტით ნაკლები ხორცი, 29 პროცენტით ნაკლები რძე და რძის პროდუქტები, 23 პროცენტით ნაკლები ხილი შეისყიდა. ამ მხრივ არც ბახარაძის კოოპვაჭრობა გამოიჩერება კარგად. წელს 9 თვეში შარშანდელთან შედარებით აქაც შემცირდა ხორცის, რძის პროდუქტების, ფქვილის, ხილისა და ბოსტნეულის შესყიდვა. საერთოდ არ შეუსყიდიათ კვერცხი და ჩირი.

სწორედ ამის გამოა, რომ საქონელბრუნვის დადგენილი დავალებები ბახარაძის კოოპვაჭრობაში შესრულებულია 87,1 პროცენტით, ხოლო ქობულეთში — 86 პროცენტით. ქობულეთის კოოპვაჭრობის 30 საწარმოდან 15-მა ვერ შეასრულა გეგმა, ხოლო ბახარაძეში შესაბამისად 20-დან — 8 ობიექტმა.

საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კომერციულ საქმიანობაში დაშვებული სერიოზული ხარვეზები. ბახარაძის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს ო. ხელაძეს სრულებითაც არ აწუხებს ის, რომ კოოპვაჭრობას რესუბლიკის ფარგლებს გარეთ დიდი ოდენობით გააქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სამაგიეროდ გაცილებით ნაკლები შემოაქვს. მაგალითად, 1986 წელსა და მიმდინარე წლის 9 თვეში გაცვლითი ოპერაციების წესით ქვეყნის სხვადასხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებისათვის გადატვირთულია 801 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო სამაგიეროდ შემოზიდულია მხოლოდ 470 ათასი მანეთის საქონელი.

რესპუბლიკაში არსებული თამბაქოს ნაწარმის დიდი ზენორმატიული ნაშთების მიუხედავად, მახარაძის რაიკოოპკავშირმა მიმდინარე წელს 450 ათასი მანეთის თამბაქოს ნაწარმი და 17 ათასი მანეთის „შამპანური“ შემოზიდა. სამაგიეროდ კი გაიტანეს 160 ათასი მანეთის გასავლიანი, მოსახლეობაში მაღალი მოთხოვნილების საქონელი. ანალოგიური მდგომარეობაა ქობულეთის კოოპვაჭრობაშიც. უფრო მეტიც, შემოწმებით გამოვლინდა გაცვლითი ოპერაციებით შესყიდული საქონლის უკან დაბრუნების ფაქტები. 1987 წელს შემოზიდული 40 ათასი მანეთის ძროხის ხორცის კონსერვები ხელმეორედ გაიცვალა და გადაიტვირთა ტაგანროგის დამზადების კანტორისათვის.

ქობულეთის კოოპვაჭრობის დირექტორის დ. კაიკაიშვილის უკონტროლობის შედეგად 1986-1987 წლებში ჩამოფასეს 7,7 ათასი მანეთის საქონელი. ამ ოპერაციით მიღებული ზარალი კი — 2,1 ათასი მანეთი ჩამოწერილია სამაგისმარგლო კოოპერაციის ხარჯზე.

ცეკავშირის მთავარი სამმართველოს „საქკოოპდამზადებავაჭრობის“ ხელმძღვანელობამ იცის ეს, არავითარ ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ დამნაშავე პირების მიერ ზარალის ასანაზღაურებლად მასალები გადაეცეს სათანადო ორგანოებს განსახილველად.

ცხადია, მუშაობაში ეს დარღვევა-ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად ცეკავშირის გამგეობის მხრივ არასაკმარისი კონტროლის ბრალიც არის.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კ. შავიშვილის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები შემოწმებით გამოვლენილ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დაქვემდებარებულ საწარმოებში სათანადო სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

კომერციულ საქმიანობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, რომელთა შედეგადაც შემცირდა ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა და ამის გამო ჩაიშალა საცალო საქონლბრუნვის საგეგმო დავალებათა შესრულება, ქობულეთის კოოპვაჭრობის დირექტორს დ. კაიკაიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და მასვე მატერიალური ზარალის დასაფარავად დაეკისრა ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობის თანხის გადახდა. კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, რამაც კომერციულ საქმიანობასა და ვაჭრობის ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებები და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებაში უხეში დარღვევები გამოიწვია, მახარაძის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს ო. ხელაძეს გამოეცხადა საყვედური. ამასთან მახარაძის რაიკოოპკავშირის დამამზადებელ საწარმოთა გაერთიანების დირექტორს ნ. სადრაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და მიყენებული მატერიალური ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად დაეკისრა სამი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობის თანხის გადახდა.

ცეკავშირის გამგეობას რჩევა მიეცა განიხილოს მახარაძის რაიკოოპკავშირის დამამზადებელ საწარმოთა გაერთიანებაში არსებული ზარალისა და მისი შედეგების მიხედვით მასალების საგამოძიებო ორგანოებში გადაცემის საკითხი.

სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს — ფართო გზა

ყურადღებას ვითხოვთ

ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის არსებითი გარდაქმნა, ცხადია, საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ საქმიანობასაც ეხება. ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, ჩვენი რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი, მისი შტატგარეშე განყოფილება, სისტემატურად სწავლობენ საწარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის, სიახლეთა შექმნისა და გამოყენების მდგომარეობას.

ცხადია, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის გარდაქმნა უწინარესად გულისხმობს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის საგრძნობ ამაღლებას, მაგრამ რაიონში განლაგებული ზოგიერთი საწარმო, როგორც ამ მიმართულებით მდგომარეობის შესწავლამ და საქმის ანალიზმა გვიჩვენა, ჯერ კიდევ არ არის მზად იმისათვის, რომ ფეხი აუწყოს დროის მოთხოვნებს, ვერ ძლევს ჩვეულ ინერციასა და მუშაობის სტილს.

აი ზოგიერთი მაგალითი: საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოო კომბინატში ჯერ კიდევ ნელი ტემპით და ნაკლები ეფექტიანობით მიმდინარეობს ახალი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვის პროცესი, ასევე არადამაკმაყოფილებლია სიახლეთა შექმნა და გამოყენება. მართალია, ამჟამად კომბინატში მონტაჟდება და ინერგება ახალი დანადგარები და მოწყობილობანი, მაგრამ არ იგრძნობა ამის დადებითი გავლენა პროდუქციის გამოშვების მოცულობაზე, ხარისხზე, მწარმოებლობასა და შრომის მექანიზაციის დონის ამაღლებაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე და ა. შ.

კომბინატში სათანადოდ რომ ადგენდნენ სტატისტიკურ ანგარიშებს, ეს შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვედგინა, თუ რა გავლენას ახდენს ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გეგმა საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

საადრეტექნიკო ორგანოების გადაწყვეტილებით, ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად ეფექტიანობა უკვე შეფერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს უნდა გაორკეცებულიყო. 1985 წელს კომბინატმა ახალი ტექნიკის დანერგვაზე 39 ათასი მანეთი დახარჯა, ხოლო ეკონომიკური ეფექტი მხოლოდ 21 ათასი მანეთი იყო. ასევე არადამაკმაყოფილებელი ი არაეფექტური იყო კომბინატში ახალი ტექნიკის დანერგვის 1986 წლის გეგმა. ამ გეგმით 9 ღონისძიების დანერგვისას საწარმომ მხოლოდ 15 ათასი მანეთი ეკონომიკური ეფექტის მიღება დაგეგმა, ამ ღონისძიებაზე კი ნავარაუდევი იყო 38,5 ათასი მანეთის დახარჯვა.

კომბინატში ზუსტად არ გამოითვლება ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი. მაგალითად, 1986 წლის ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმით დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისა და საჭიდაო ფეხსაცმლის ახალი მეთოდით შეკერვის ღონისძიებებთან ნავარაუდევი იყო თითო მუშაკის გამოთავისუფლება, და შესაბამისად თითოეულზე ათასი მანეთის ეკონომიკურ ეფექტს ელოდნენ. საწარმოს ხელმძღვანელებს უნდა შეეგახსენოთ, რომ სიახლეთა გამოყენების ეფექტი მარტო ხელფასის ფონდის ეკონომიით არ იანგარიშება, რომ მას უნდა მოჰყვეს მოქმედი ტექნოლოგიური პროცესების, შრომითი და მატერიალური ნორმატივების შეცვლა და სხვა, რასაც კომბინატის შესაბამისი ქვეგანყოფილება არ ითვალისწინებს და რაზედაც გაანგარიშებაც კი არ ხდება.

კომბინატში, სადაც სამრეწველო-საწარმოო პროცესში 380 კაცია დასაქმებული, წლიდან წლამდე არც ერთი რაციონალიზატორული წინადადება არ იქმნება და ინერგება, არავის აქვს დავალებული ამ საქმიანობის წარმართვა.

ახლა მეორე მაგალითიც: კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ფაბრიკას მთელი რიგი ხარვეზები აქვს შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლენის, სახლეთა შექმნისა და გამოყენების საქმეში. ცხადია, ამ საქმის მოგვარება ხელს შეუწყობს პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას.

მართალია, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ფაბრიკისათვის სხვა მაჩვენებლებთან ერთად დავალებებს ადგენს ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისა და სხვა ღონისძიებებზე, მაგრამ საქმეს ის აფერხებს, რომ საწარმოში არ არის შემუშავებული საწარმოო პროცესებისა და პროდუქციის დამზადების სრულყოფის ორგანზატორულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმები.

ერთი სიტყვით, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში ბოლო წლების ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები ფორმალურად, უსწოროდ იყო შედგენილი, კერძოდ, არ იყო მითითებული ღონისძიებების დანერგვის ადგილი და თარიღი, რამდენი მანეთი დაიხარჯება დანერგვაზე, რამდენია მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი, ვინ არის პასუხისმგებელი შემსრულებელი და ა. შ. რაც შეეხება ამ გეგმების ფაქტობრივ შესრულებას, ამდაგვარი ცნობა ფაბრიკაში საერთოდ არ აღმოჩნდა.

1985 წლიდან წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში ტექნიკური განახლების ჩასატარებელ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესებულიყო წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი და დამზადებულიყო კონკურენტუნარიანი პროდუქცია იმ ოდენობითა და ასორტიმენტით, რაც გათვალისწინებულია ტექნიკური გადაიარაღების პროექტით. ეს პროექტი კი ითვალისწინებდა პროდუქციის დამზადებაზე დროის ეკონომიას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას და ა. შ. ფაბრიკაში არ იყო შედგენილი სრულფასოვანი გეგმა იმისა, თუ რა ოდენობით და ფულადი გამოხატულებით რამდენი პროდუქცია დამზადდებოდა, როგორ გაუმჯობესდებოდა გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ა. შ. რომ აღარაფერი ვთქვათ ამ გეგმების შესრულებისადმი სათანადო კონტროლის დაწესებაზე.

წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში რაციონალიზატორული მუშაობა თვითღინებაზეა მიშვებული და არ შეესაბამება დადგენილ წესებს, კერძოდ, სწორად და ზუსტად არ დგება ანგარიშები რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შესახებ (ფორმა №4 „ნტ“). საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში არსებულ დოკუმენტებთან მამთა შედარებამ გვიჩვენა, რომ ორი ერთი და იგივე დოკუმენტი შეიცავს აბსოლუტურად განსხვავებულ მონაცემებს. საქმე მარტო ციფრობრივი სხვაობა როდია, ამდაგვარი მცდარი დოკუმენტები მიღის სახელმწიფო ორგანოებში და მათ საფუძველზე ხდება მცდარი ფულადი პროცენტული დარიცხვები — ერთ შემთხვევაში მეტობით, მეორეში — ნაკლებობით, რაც დაუშვებელია.

ფაბრიკაში გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე გაპიროვნებულ პირს დებულებაც კი არა აქვს, თუ რა ამოცანებია დასახული და რა უფლებები ენიჭება. რაციონალიზატორული მუშაობა საერთოდ არ იგეგმება, არავითარი ორგანიზაციული მასობრივი ღონისძიებები არ ხორციელდება. დგება ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ არც ერთი დოკუმენტი, [illegible] იუნიდიული, არ არის სწორად შეკვეთილი — ეს ეხება რაციონალიზატორული წინადადებების რეგისტრაციის ჟურნალსაც და რაციონალიზატორულ წინადადებებზე ეკონომიკურ გაანგარიშებებსაც. ეკონომიკურ გაანგარიშებებს ხელს აწერს რაციონალიზაციის ინჟინერი და არა ეკონომიკური სამსახურის მუშაკი, უფრო მეტიც, თვით ანგარიშები არ არის სწორი და თვითხებური წესით არის შედგენილი. კომიტეტმა ფაბრიკის ხელმძღვანელებს მკაცრად მიუთითა, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა დაუშვებელია.

ასეთივე წესების დარღვევით წარმოებს ფაბრიკაში გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში ხელშემწყობ პირთა პრემირება, კერძოდ, ბრძანებაში არ არის მითითებული კონკრეტულად რით გამოიხატება პრემირებულთა წვლილი. ასეთი წესი გზას უხსნის პრემირებულთა სიაში ისეთ პირთა ჩართვას, რომლებსაც საქმით არაფერი გაუკეთებიათ.

წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში ბოლო წლების მონაცემებით არ მოწყობილა რაციონალიზაციის ხაზით სოციალისტური შეჯიბრება, კონკურსები, დათვალიერებები და ა. შ. ეს კი საგრძნობლად აფერხებს სიახლეთა შექმნა-დანერგვას და, საბოლოო ანგარიშში, ტექნიკურ პროგრესსაც.

უდავოდ ცხადია, რომ სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის მაჩვენებლებმა თავისი ადგილი უნდა დაიკავოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათი მუშაობის გარდაქმნას და საერთო წინსვლას.

ო. კეკელაშვილი,
თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების შტატგარეშე განყოფილების გამგე.

სახალხო კონტროლი მოქმედებს

მიწოდების ასპროცენტიან მიჯნას მიაღწია თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის „ლომკავშირელის“ კოლექტივმა.

მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლამ მოითხოვა ახალი, საუკეთესო ხარისხის, კონკურენტუნარიანი ნაწარმის გამოშვება. დღეს ფაბრიკიდან მაღაზიაში მოტანილი მთლიანწმასოვი შარფები, ტიულის ფარდები და „ს“-ინდექსიანი გადასაფარებლები სწრაფად იყიდება.

საწარმოში მომხდარ დადებითს ძვრებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო კონტროლიორებმა. მეთაურ ჯგუფში აირჩიეს 68 მოწინავე გამოცდილი მუშაკი. ისინი სისტემატურად აწყობენ რეიდებს, ამოწმებენ ნაწარმის ხარისხს, თვალყურს ადევნებენ სასადილოს მუშაობას, შრომის დისციპლინას.

სურათზე: სახალხო კონტროლიორები — გადამხვევები ტასო ქებაძე, ნათელა კახნიაშვილი, ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ციცო გრძელიძე, საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატი პოლინე ბელიძე და ოსტატის თანაშემწე ზაალ ბინჩაგაშვილი მორიგი რეიდის დროს.

ი. ფლამფანისა და ვ. ტერეშჩენკოს ფოტო (საქინფორმი).

საქმისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, უყურადღებობა და უკონტროლობა! ძნელია კიდევ სხვა სახელი მოუძებნო იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ის, რომ საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ დამზმარე მეურნეობას 1986 წელი 39502 მანეთი ზარალით დაემთავრებინა, მაშინ როდესაც ყოველგვარი ხარჯი 52506 მანეთს გაუტოლდა, შემოსავალმა კი 13087 მანეთს ძლივს მიაღწია.

დამხმარე მეურნეობაში, რომელსაც შ. ხაჩიძე თავკაცობს, მთლიანად ჩაშლილია როგორც ზოოტექნიკური, ისე საბუღალტრო აღრიცხვა, პირუტყვი დაუნომრავია, არ არის დაჯგუფებული ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, წონა მატებას კი მიაღლოებით, თვალის ზომით საზღვრავენ. ყოველივე ეს სახელმწიფო ქონების დატაცებისა და განიავების ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

საბუთებს თუ დაეუჯერებთ, მეურნეობის ფერმებში 90 ღორი უნდა ყოფილიყო, შემოწმებისას ორი სულით მეტი აღმოჩნდა, მეურნეობის დირექტორმა შ. ხაჩიძემ ეს ძალზე მარტივად ახსნა — ეგ ორი გოჭი შემოსავალში იმიტომ არა გვაქვს, რომ ძალზე დასუსტებული იყვნენო. იმაზე კი, ვეღარაფერი თქვა, 10 ნეზვის ნაცვლად, 15 რომ აღმოჩნდათ.

იქნება ასეთი აღრეკი იმით არის გამოწვეული, რომ ბოლო წლებში არც მეურნეობის უფროსსა და არც გაერთიანების მთავარ ბუღალტერს რ. ლომიძეს ინვენტარიზაციის მოწყობა, პირუტყვის დანომვრა საჭიროდ არ მიუჩნევიათ. თუმცა რაც ადრე დაუნომრიათ, აღარ ემჩნეოდა, ძალზე ძნელი გახდა მისი შედარება ფაქტობრივად არსებულ სულადობასთან, მაგრამ მარტო ეს რომ ყოფილიყო გაუგებარი, კიდევ არაფერს ვიტყოდით.

საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით დამხმარე მეურნეობაში 30 სული მსხვილფეხა რქიანი. პირუტყვი უნდა ჰყავდეთ, ფაქტობრივადაც ასეა, მაგრამ ერთი „უმნიშვნელო“ განსხვავებით — აღრიცხული 10 ძროხის ნაცვლად, რატომღაც 13 ძროხა აღმოჩნდა. რასაკვირველია, ასეთ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს ძროხები რძესაც უნდა იძლევდნენ და ნამატსაც (?!)

რადგან რძე ვახსენეთ, უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის მესვეურები დიდად არ იწუხებენ თავს წველადობის ზრდისათვის. თუ 1985 წელს თითოეულ ფურზე მიღებულია 1348 ლიტრი რძე, შარშან მხოლოდ 1023 ლიტრი მიიღეს, წლევანდელი რვა თვის მანძილზე კი — 765 ლიტრი. არც მიღებული რძის ხარჯვას ეწევა სათანადო კონტროლი.

პირუტყვის კარგი სიმსუქნითაც ვერ მოიწონებენ თავს. შარშან სასადილოს მიერ გაყიდული 3 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან თითოეულის საშუალო წონა 107 კილოგრამს არ აღემატებოდა, ხოლო სახელმწიფოისათვის მიყიდული 16 სულიდან თითოეული საშუალოდ 138 კილოგრამს იწონიდა. ასე რომ, დაბალი წონის პირუტყვის რეალიზაციით მეურნეობამ სულ ცოტა 2 ტონა ხორცი დაკარგა. თუმცა არც ამ მდგომარეობას შეუწუხებია დიდად გაერთიანების ადმინისტრაცია და არც იმას, რომ რეალიზებული 42 ღორის საშუალო წონა 11 კილოგრამი იყო, და რომ ძალზე მცირეა მეღორეობაში მიღებული ნამატი.

როგორც ჩანს, აქ არც საშტატო დისციპლინის დარღვევა მიიჩნიათ დიდ ამბად. 1987 წლის ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული 10 კაცის ნაცვლად მეურნეობაში 16 კაცი მუშაობს და მათი ხელფასიც 17498 მანეთია გაცემული.

დასახმარებელი დამხმარე მეურნეობა

ასეთი უყაირათობით ხორცის წარმოებას ვერ გავზრდით

ყოველივე ამის გამო ზარალი ზარალს ემატება, მაგრამ ეს გარემოება არც საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ სელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა და არც სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფი დაინტერესებულა იქ შექმნილი მდგომარეობით. სწორედ ამიტომაც ბორჯომის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა გაერთიანების დამხმარე მეურნეობაში არსებული სერიოზული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის თანამდებობიდან გადააყენა მეურნეობის უფროსი შ. ხაჩიძე. დამხმარე მეურნეობის მუშაობისადმი სათანადო კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, ამ დარგის კურატორს ვ. ლომიძეს გამოეცხადა საყვედური. გაერთიანების გენერალურ დირექტორს ა. შონიას (იგი ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნულია) დაევალა მკაცრი ადმინისტრაციული ზომები მიიღოს როგორც გაერთიანების მთავარი ბუღალტრის რ. ლომიძის, ისე სხვა კონკრეტული დამნაშავე პირების მიმართ.

კვების პროდუქტებით, განსაკუთრებით კი ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფა სადღეისო დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა და მისი გადაჭრისათვის „ბორჯომელებიც“ სათანადოდ უნდა ზრუნავდნენ.

ნ. ხითარიშვილი,
ბორჯომის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

ზამთარი

ზამთარი კარზეა, მაგრამ ახალციხის რაიონის ბევრ საწარმოორგანიზაციაში რატომღაც არ ჩქარობენ, არ ზრუნავენ ზამთარში საქვაბეების, საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობების, ფერმების, საავადმყოფოების, სოფლად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სკოლების შეუფერხებელი მუშაობისათვის, საჭირო რაოდენობით არ მოიმარაგეს სათბობი, პირუტყვის საკვები, მზად არ არის ტრანსპორტი.

შემოწმებული 31 ობიექტიდან მხოლოდ ახალციხის თბომეურნეობის საექსპლოატაციო კანტორაში, ხორცკომბინატში, ადგილობრივი მრეწველობის სარაინთაშორისო საწარმოო გაერთიანებასა და ელექტროქსელების საწარმოში დროზე დაიჭირეს თადარიგი, შეიმუშავეს საჭირო ღონისძიებები. სამაგალითოდ 3 ორგანიზაციაში — რაიკოოპკავშირში, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მუშათა მომარაგების განყოფილებასა და ახალციხის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში ზამთრისათვის მზადებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანება დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის არც კი გაუცვნიათ, ხოლო საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ახალციხის საკონსერვო კომბინატსა და საწარმოო გაერთიანება „ელმავლმშენებლის“ ელექტროძრავების ქარხანაში სამზადისი მხოლოდ 2-3 თვის დაგვიანებით დაიწყეს.

შემოდგომაზე არც ერთი ობიექტისათვის არ იყო შედგენილი სათბობის შეტანის გრაფიკი, სამრეწველო საწარმოებში არ შეუმუშავებიათ სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობის, ელექტროსიმძლავრეების მოხმარების შემცირების კონკრეტული ღონისძიებები.

რაიონში არ არის მოგვარებული ცალკეული ობიექტების ელექტრომომარაგების საიმედოობის გადიდების საქმე. არ განხორციელებულა სათადარიგო ელექტროკვების ავტომატური გადართვა რაიონულ ცენტრალურ საავადმყოფოში, პურკომბინატში, მეფრინველეობის ფაბრიკაში, ავეშრიგამშრალობის რაიონულ კვანძში, ხოლო ქ. ვალეს საავადმყოფოში, ხორცკომბინატში, საკონსერვო ქარხანასა და ნავთობბაზაში საერთოდ არა აქვთ ელექტრომომარაგების სათადარიგო ხაზები, ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის 23-სავე საქვაბეში.

დამაკმაყოფილებელი არ არის ენერგეტიკულ ობიექტებს შორის კავშირი. ახალციხის ელექტრიქსელების მომსახურების ზონის 22 ელექტრომავლადგურიდან სადისპეტჩერო პუნქტთან მხოლოდ ხუთია დაკავშირებული. საერთოდ არა აქვთ რადიოკავშირი.

ზამთრის შესახვედრად ცუდად მოემზადნენ ახალციხის საკონსერვო ქარხანაში (დირექტორი კ. კურტანიძე). ახალციხის ელექტროძრავების ქარხანაში (დირექტორი ვ. ხუციშვილი). აქ ბევრი მოსამზადებელი სამუშაო ჩაშლილია. საკონსერვო ქარხნის სამაზუთე მეურნეობა არ არის მზად სათბობის მისაღებად, 4 რეზერვუარიდან მხოლოდ ორია მწყობრში. არის ორთქლის დიდი დანაკარგები, არც ენერგომეურნეობაა წესრიგში.

ელექტრომრავების ქარხანაში არ შეუცვლიათ საუწყებო საცხოვრებელი სახლის ავარიული საკვამლე მილი, შეუკეთებელია მექანიკური საამქროს, საქვაბის, საინსტრუმენტო უბნისა და საწყობების სახურავები, ბევრგან ჩამსხვრეულია მინები. არა აქვთ საკმარისი ოდენობით ფანჯრის ჩარჩოები, ფანჯრებზე ფანრები. ეს ამცირებს ელექტროშედუღების ხარისხს.

ბევრი სერიოზული ნაკლი გამომჟღავნდა აგრომრეწვტრანსის რაიონული საწარმოო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოში (დირექტორი ვ. ჯაფარიძე), ავტოტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი დ. აღაშაშვილი) და საქაგრომშენის მე-9 ტრესტის მექანიზაციის სამმართველოში (უფროსი ო. ტატენაშვილი). ამ ორგანიზაციებში არ შეუმუშავებიათ ზამთრისათვის მოსამზადებელი ღონისძიებები, არა აქვთ არც საწვავის მარაგი, და არც მათი შესანახი რეზერვუარები. არ არის შექმნილი პირობები ზამთარში მძღოლების ნორმალური მუშაობისათვის.

ძალზე დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ზამთრისათვის სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, კულტურისა და განმრთელობის დაცვის ობიექტების მოსამზადებლად შესაბამისმა რაიონულმა განყოფილებებმა და მათმა ხელმძღვანელებმა მ. ჯუჯუნაძემ, ი. კურტანიძემ და დ. ფოცხვერაშვილმა.

რაიონის ყოველი მესამე სკოლა მოუმზადებელია ზამთრის სიცივის დადგომისათვის. მაგალითად, ალაბალის, ალიბეგის, ალვანის, ბოგოლუბოვკის, ბოგოლუბოვკის II, ბოგოლუბოვკის III, ბოგოლუბოვკის IV, ბოგოლუბოვკის V, ბოგოლუბოვკის VI, ბოგოლუბოვკის VII, ბოგოლუბოვკის VIII, ბოგოლუბოვკის IX, ბოგოლუბოვკის X, ბოგოლუბოვკის XI, ბოგოლუბოვკის XII, ბოგოლუბოვკის XIII, ბოგოლუბოვკის XIV, ბოგოლუბოვკის XV, ბოგოლუბოვკის XVI, ბოგოლუბოვკის XVII, ბოგოლუბოვკის XVIII, ბოგოლუბოვკის XIX, ბოგოლუბოვკის XX, ბოგოლუბოვკის XXI, ბოგოლუბოვკის XXII, ბოგოლუბოვკის XXIII, ბოგოლუბოვკის XXIV, ბოგოლუბოვკის XXV, ბოგოლუბოვკის XXVI, ბოგოლუბოვკის XXVII, ბოგოლუბოვკის XXVIII, ბოგოლუბოვკის XXIX, ბოგოლუბოვკის XXX, ბოგოლუბოვკის XXXI, ბოგოლუბოვკის XXXII, ბოგოლუბოვკის XXXIII, ბოგოლუბოვკის XXXIV, ბოგოლუბოვკის XXXV, ბოგოლუბოვკის XXXVI, ბოგოლუბოვკის XXXVII, ბოგოლუბოვკის XXXVIII, ბოგოლუბოვკის XXXIX, ბოგოლუბოვკის XXXX, ბოგოლუბოვკის XXXXI, ბოგოლუბოვკის XXXXII, ბოგოლუბოვკის XXXXIII, ბოგოლუბოვკის XXXXIV, ბოგოლუბოვკის XXXXV, ბოგოლუბოვკის XXXXVI, ბოგოლუბოვკის XXXXVII, ბოგოლუბოვკის XXXXVIII, ბოგოლუბოვკის XXXXIX, ბოგოლუბოვკის XXXXX, ბოგოლუბოვკის XXXXXI, ბოგოლუბოვკის XXXXXII, ბოგოლუბოვკის XXXXXIII, ბოგოლუბოვკის XXXXXIV, ბოგოლუბოვკის XXXXXV, ბოგოლუბოვკის XXXXXVI, ბოგოლუბოვკის XXXXXVII, ბოგოლუბოვკის XXXXXVIII, ბოგოლუბოვკის XXXXXIX, ბოგოლუბოვკის XXXXXX, ბოგოლუბოვკის XXXXXXI, ბოგოლუბოვკის XXXXXXII, ბოგოლუბოვკის XXXXXXIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXIV, ბოგოლუბოვკის XXXXXXV, ბოგოლუბოვკის XXXXXXVI, ბოგოლუბოვკის XXXXXXVII, ბოგოლუბოვკის XXXXXXVIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXIX, ბოგოლუბოვკის XXXXXXX, ბოგოლუბოვკის XXXXXXXI, ბოგოლუბოვკის XXXXXXXII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXIV, ბოგოლუბოვკის XXXXXXXV, ბოგოლუბოვკის XXXXXXXVI, ბოგოლუბოვკის XXXXXXXVII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXVIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXIX, ბოგოლუბოვკის XXXXXXXX, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXI, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXIV, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXV, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXVI, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXVII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXVIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXIX, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXX, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXXI, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXXII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXXIII, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXXIV, ბოგოლუბოვკის XXXXXXXXXV, ბოგოლუბოვკის XXXXXXX

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო
საკდესი იუწყება
2 დეკემბერი

ᲔᲙᲝ

პროგრესის რეალური შესაძლებლობანი

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია

მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუს, რომელიც მან მისცა ამერიკის ეროვნულ ტელეკომპანიას ენ-ბი-სის, გაზეთები აქვეყნებენ ინტერვიუს სრულ ტექსტს, ან დაწვრილებით გადმოსცემენ მას. მიმიმხილველები აღნიშნავენ საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ გამოთქმულ სსრ კავშირის ერთგულებას მშვიდობის საქმისადმი, უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ანიჭებენ ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ შეხვედრას და საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას.

ყველა ამერიკული გაზეთი ინტერვიუს თაობაზე მასალებს პირველ გვერდებზე აქვეყნებს და ფართოდ განმარტავს მას. „მძლავრი პოლიტიკური გამოსვლა“ უწოდა ინტერვიუს გაზეთმა „იუ-ეს-ეი ტუდეიმ“. „საბჭოთა ხელმძღვანელმა, რომელიც მალე ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე შესახვედრად ჩამოვა, ამერიკის აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას მხარი დაუჭირა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას, — წერს გაზეთი. — ჯერ კიდევ მანამ, სანამ პირველ კითხვას უპასუხებდა, იგი გულწრფელად მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ტელემაყურებელს“. „ვაშინგტონ ტაიმსი“ ყურადღებას მიაქცევს მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ არის შესაძლებლობა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების თაობაზე შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ უკვე გაისად. რომ ბირთვული არსენალების შესამცირებლად მუშაობა გამორიცხავს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის აუცილებლობას.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთები აქვეყნებენ მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუს სათაურებით: „დაძაბულობისა და შეიარაღების ნაცვლად — შეხვედრა, დიალოგი“ („რუდე პრავო“), „საჭიროა ურთიერთგაგება“ („პრაცე“), „განიარაღებაში პროგრესის რეალური შესაძლებლობანი“ („ზლადა ფრონტა“).

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუმ, წერს ლონდონის „ინდეპენდენტი“, მშვენიერი შესაძლებლობა მისცა ამერიკელ მაყურებელს ემსჯელა საბჭოთა ხელმძღვანელზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მზარდი სიმპათიით სარგებლობს. გაზეთი აღნიშნავს, რომ მ. ს. გორბაჩოვი ამერიკელი ტელემაყურებლების წინაშე წარსდგა როგორც ადამიანი, რომელიც გულწრფელად ესწრაფვის მეტ ურთიერთგაგებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, და ამასთან როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც „მტკიცედ იცავს სსრ კავშირისა და მთლიანად სოციალისტური სისტემის ინტერესებს“. მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა მას ახალ მომხრეებს შესძენს ამერიკის შეერთებულ შტატებში, — აღნიშნავს „გარდიანი“, — მან რიგით ამერიკელებს იმედი ჩაუსახა. მათ მოეწონათ ის, რაც ნახეს და მოისმინეს“.

სსრ კავშირი — აშშ: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

რას გვიჩვენებს ბარომეტრი

საინტერესო შედარებითი სოციოლოგიური გამოკვლევა მოაწყვეს საბჭოთა და ამერიკელმა სოციოლოგებმა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის საზოგადებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა საბჭოთა კავშირის ევროპელ ნაწილში და ჰელაპის ინსტიტუტმა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოაწყვეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა გამოკითხვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის აქტუალურ პრობლემებზე.

ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე შეხვედრის წინ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბჭოთა ადამიანების და ამერიკელთა პასუხი უბრალო, მაგრამ მშვიდობის ბედისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობის (81 პროცენტი სსრ კავშირში და 85 პროცენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში) აზრით, საყოველთაო ბირთვულ ომში არ იქნება გამარჯვებული. გამოკითხვის მონაწილეებს თითქმის ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ბირთვული იარაღის შემდგომი ზრდა და სრულყოფა არც ერთ მხარეს არ მისცემს უპირატესობას (79 პროცენტი სსრ კავშირში და 65 — ამერიკის შეერთებულ შტატებში).

ფრიად მნიშვნელოვანია პასუხი კითხვებზე, რომლებიც ურთიერთნდობას ეხება. საბჭოთა ადამიანების მხოლოდ 9 პროცენტს მიაჩნია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები პირველი არასოდეს გამოიყენებს ბირთვულ იარაღს“, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირს ამ მხრივ ენდობა ყოველი მეხუთე გამოკითხული ამერიკელი. ბევრ ამერიკელს სერიოზული ეჭვი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვის მიმართ: გამოკითხულთა მხოლოდ 41 პროცენტი ეთანხმება იმას, რომ მათი ქვეყანა პირველი არ იხმარს ამ იარაღს. საბჭოთა ადამიანები იზიარებენ ამ აზრს 41 ეჭვს: ათი გამოკითხულიდან რვას არ სჯერა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა უმეტესად თავდაცვითი ხასიათისაა და საფრთხეს არ უქადის სსრ კავშირის უშიშროებას“.

მ. გორბაჩოვის პოლიტიკას გაცილებით ფართოდ უჭერენ მხარს სსრ კავშირში, ვიდრე რ. რეიგანის ადმინისტრაციისას — ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა ადამიანების 82 პროცენტი იწონებს მის საქმიანობას ქვეყნისადმი ხელმძღვანელობის დარგში, ამერიკელთა შორის კი თავიანთ მთავრობას ასეთ შეფასებას გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარი აძლევს.

გამოკითხვის საბჭოთა მონაწილეებმა ცხადყვეს სხვადასხვა მიდგომა ამერიკელებისადმი და მათი ადმინისტრაციისადმი. ითიდან რვა შემთხვევაში მათ დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს ამერიკელი ხალხისადმი, უარყოფითი — მხოლოდ სამმა პროცენტმა. ამერიკის ადმინისტრაციას კი დადებითად ეკიდება მხოლოდ 6 პროცენტი. შეერთებულ შტატებში საბჭოთა ხალხისადმი სიმპათია გამოთქვა ამერიკელთა 63 პროცენტმა.

ᲨᲘᲜᲐ ᲜᲘᲠᲘᲗᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲑᲐᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲘᲡᲐᲠᲘ? საბჭოთა და ამერიკელი სოციოლოგების მიერ მოწყობილი გამოკითხვა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. საბჭოთა ადამიანების 84 პროცენტს და ამერიკელთა 80 პროცენტს მიაჩნია, რომ „მშვიდობიანი თანაარსებობა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შესაძლებელია“. შარშან ამ თვალსაზრისს ნაკლები ხალხი იზიარებდა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვაშინგტონში დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკების წინ ეს დამაიმედებელი სიმპტომია.

● სამხრეთ კორეა

შეტაკებული არჩევნების წინ

ᲢᲝᲙᲘᲝ. სამხრეთ კორეაში 16 დეკემბრისათვის გათვალისწინებული პრეზიდენტის არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით საარჩევნო ბრძოლა იქ სულ უფრო გაფაფრებულ ხასიათს იღებს.

როგორც იაპონიის ძიძი ცუსინის საინფორმაციო სააგენტო სულიდან იუწყება, გუშინ საღამოს იქ მოხდა მეტოქე დაჯგუფებების მომხრეთა შეტაკებანი. ლითონის ხელკეტებით შეიარაღებული მმართველი სამართლიანობის დემოკრატიული პარტიის ასობით არამზადა თავს დაესხა საარჩევნო მიტინგის მონაწილეებს, რომელიც მშვიდობისა და დემოკრატიის ოპოზიციურმა პარტიამ მოაწყო. მისი ლიდერი კიმ ტე ჯუნი, რომელიც ცნობილია ქვეყანაში სამხედრო რეჟიმის მმართველობის წინააღმდეგ გამოსვლებით, კენჭს იყრის პრეზიდენტის პოსტზე. გაფრთებული შეტაკების შედეგად ათობით კაცი დაშავდა.

◆ იაპონია

ამუშავებენ ვერსიებს

ᲢᲝᲙᲘᲝ. დიდი ხაიდუმლოებითაა მოცული სამხრეთ კორეის სამგზავრო ლაინერის — „ბოინგ-707“-ის კატასტროფის გარემოებანი, რომელიც გასულ კვირა დღეს უგზო-უკვლოდ დაიკარგა გაუვალ ჯუნგლისთავზე ბირმისა და ტაილანდის საზღვრების შესაყართან.

ნამსხვრევები თვითმფრინავისა, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან სეულში მიფრინავდა, დღემდე არ არის ნაპოვნი. მაგრამ სამხრეთ კორეის ავიაკომპანიის წარმომადგენლებმა უკვე სასწრაფოდ განაცხადეს, რომ ლაინერი დაიღუპა უცნობი ტერორისტების მიერ ჩადებული ბომბის აფეთქების შედეგად.

როგორც კიოდო ეუსინის სააგენტო იუწყება, ამგვარ ვერსიას გარკვეული საფუძველი აქვს. ცნობილი გახდა, კერძოდ, რომ კატასტროფამდე რამდენიმე საათით ადრე „ბოინგიდან“ ახუ-დაბის (არაბთა გაერთიანებული სამეფოები) აეროპორტში უკანასკნელი გაჩერების დროს მოულოდნელად ჩამოვიდა ორი მგზავრი — ხანში შესული მამაკაცი და ქალიშვილი, რომლებიც დოკუმენტების მიხედვით იაპონელები არიან. ახლა ტოკიოში გაძლიერებით ამუშავებენ ამ საიდუმლო საქმის რამდენიმე ვერსიას, მათ შორის მის შესაძლო კავშირს იაპონის ექსტრემისტული დაჯგუფებების ძირგამომთხრელ საქმიანობასთან.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ



● ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲚᲐᲨᲭᲠᲔᲑᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ, ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐᲚᲘᲡ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲜᲐᲨᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲒ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: შეწყდეს კონტრრევოლუციონერებისადმი დახმარება, ბოლო მოეღოს ომს, შეერთებულმა შტატებმა ცენტრალურ ამერიკაში რომ გაიჩალა! — მოითხოვენ მანიფესტაციის მონაწილენი, რომელიც ვაშინგტონში კაპიტოლიუმის წინ გაიმართა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ᲐᲨᲨ

ახალი კანონის შესაბამისად

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურმა გამოაცხადა, რომ 2 დეკემბრიდან შემოღებულია სისხლში შიდსის ვირუსის შემცველობის დასადგენად ყველა იმ უცხოელის შემოწმება, რომლებსაც სურთ მოიპოვონ „კანონიერი იმიგრანტის“ სტატუსი (ამერიკის მოქალაქეობის მიუღებლად ცხოვრებისა და მუშაობის უფლება) ან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა.

როგორც სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, შემოწმება მოხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლისას ან საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებში. იმათ, ვისაც სისხლში შიდსის ვირუსი აღმოაჩნდება, უარს ეტყვიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლის ნებართვაზე, ამასთან არ ექნებათ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. შემოწმება შემოღებულია შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში იმიგრაციის თაობაზე მიღებული ახალი კანონის შესაბამისად. იგი არ ვრცელდება ტურისტებზე, ბიზნესმენებზე, სტუდენტებზე, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საზღვარგარეთის მთავრობებთან დაკავშირებული სხვა დაწესებულებების თანამშრომლებზე.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

● ᲚᲐᲒᲝᲡᲘ. ნიგერიაში დაიწყო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების კამპანია. არჩევნები გაიმართება 12 დეკემბერს, მანამდე კი კანდიდატები იბრძოლებენ ამომრჩეველთა ხმებისათვის. მომავალი არჩევნები ნიგერიის ფედერალური სახელმწიფო მთავრობის მიერ გამოცხადებული სამოქალაქო მმართველობის დაბრუნების პროგრამის პირველი ეტაპია. ახეთი მმართველობა უნდა შემოიღონ 1992 წელს.

● ᲙᲝᲜᲐᲙᲠᲘ. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე მსოფლიოში ყველაზე დიდ ფასად — 0,5 მილიონ დოლარად გაყიდა გვინეის „არედორ-გინეს“ კომპანიამ ანტვერპენში 148-კარატიანი ალმასი. ეს ალმასი უდიდესია, რომელიც „არედორ-გინემ“ მოიპოვა 1984 წელს მისი საწარმოო საქმიანობის დაწყებიდან, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კომპანიის წარმომადგენელმა. სულ უკანასკნელი წლების მანძილზე „არედორ-გინემ“ გაყიდა თითქმის ორმოცდაათი ათასი კარატი ძვირფასი თვლები.

● ᲞᲐᲠᲐᲠᲘ. სამხრეთ აფრიკის უდიდესმა ლეგალურმა ანტირასისტულმა ორგანიზაციამ — გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ფრონტმა, რომელშიც 8,5 მილიონზე მეტი კაცი შედის, დაგმო ის, რომ რასისტმა ხელისუფლებამ აკრძალეს პორტ-ელიზაბეტში მასობრივი მიტინგის გამართვა. მიტინგზე უნდა გამოსულიყო სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი ლიდერი ჰოვან მბეკი, რომელიც ახლახან გაათავისუფლეს 23 წლის პატიმრობის შემდეგ.

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

საზოგადოებრივი მეცნიერების გარდაქმნის ახალ ეტაპზე

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომა, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი.

სხდომაზე გამოსვლისას ა. ნ. იაკოვლევმა, კერძოდ, თქვა:

სწორედ გარდაქმნამ გვაგრძნობინა, რომ მეტისმეტად გვაკლია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ქმედითი, პრაქტიკული უკუგება. ჩვენი ყოფის — როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო — კარდინალურ საკითხებს აკლია თეორიული დამუშავება. მცირეა დღეისათვის ესოდენ საჭირო გამოყენებითი რეკომენდაციები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ეკონომიკის, სოციალური სფეროს, პოლიტიკური სისტემის, კულტურის კონკრეტულ საკითხებზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეს, ნოვატორულმა ხასიათმა მოხსენებისა „ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება“ განსაკუთრებული ძალით წარმოაჩინეს რევოლუციურ გარდაქმნათა პირობებში პარტიის თეორიული საქმიანობის მნიშვნელობა. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სოციალიზმის ისტორიული განვითარების, თანამედროვე საერთაშორისო პროცესების, გარდაქმნის პრობლემების შემოქმედებითი ანალიზის მაგალითს იძლევა. და ამავე დროს, ეს არის გულწრფელი მოწოდება ფიქრისათვის, შემოქმედებისათვის, დამოუკიდებელი მეცნიერული ხედვისათვის.

ორ წელზე მეტია, რაც გარდაქმნა დაიწყო. უკვე მართლზომიერია ველოდოთ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების, ახალი მიდგომის ხასიათის მეცნიერულ ანალიზსა და გააზრებას. მაგრამ საზოგადოებრივი მეცნიერებანი, რომლებიც მოწოდებული არიან იყვნენ პროგრესის ავანგარდში, ზოგჯერ აღმორჩდებიან ხოლმე კონსერვატიზმის ერთ-ერთ ფორპოსტად, დოგმატიზმის მინავლული ხანძრის მცველებად.

აქედან გამომდინარეობს სწორედ პრობლემის არსი დღეს: როგორ მივანიჭოთ სტიმული მეცნიერების მაქსიმალურ თვითგანვითარებას, როგორ აღმოვფხვრათ ან შევასუსტოთ ყველა ის შინაგანი შეზღუდვა ან თვითშეზღუდვა, რაც ხელს გვიშლის დღეს, როგორ გავთავისუფლოთ და გამოვაცოცხლოთ მისი მამოძრავებელი ენერგია?

გამოცდილება მოწმობს, რომ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებს, რომელიც კადრების მომზადების სათავეა, შეუძლია შეასრულოს ნეგატიური სოციალური როლიც როგორც შინაარსის, ისე სწავლების მეთხებით, თუ არ განთავისუფლდება თალმუდიზმისა და სქოლასტიკისაგან. ის არის, რომ, ალბათ, საზოგადოებას არაფერი არ უჯდება ისე ძვირად, როგორც თეორიული შეცდომები და ხარვეზები, თანაც არა მარტო პირდაპირი, მატერიალური გამოხატულებით, არამედ უფრო მნიშვნელოვანი — ადამიანური თვალსაზრისით, მხედველობაში გვაქვს ის დანაკარგები, რომლებიც გარდაუვალია ასეთ დროს იდეოლოგიის, მორალის, სოციალურ სფეროში.

საზოგადოებამცოდნეთა მოქალაქეობრივი და პარტიული პასუხისმგებლობა ის არის, რომ დროულად გამოავლინონ, თუ რა წინაღმდეგობანია ჩვენი ისტორიული გამოცდილების ბუნებრივ შეზღუდულობას, აქედან გამომდინარე ჩვენი ცოდნის კონკრეტულ ზღვარსა და იმ ცდუნებას შორის, რომ დავძლიოთ ეს ზღვარი ილუზიებით, მითთამთზნეელობით. წინასწარ დასახული იდეალისაგან ცხოვრებისაკენ მიმავალი მეცნიერება განწირულია სიცარიელისათვის, სქოლასტიკისათვის. ცხოვრებისაგან იდეალისაკენ — ეს არის კვლევის ერთადერთი ეფექტიანი გზა.

მთლიანად უნდა აღვადგინოთ სოციალიზმის ლენინური კონცეფცია, უზრუნველყოთ ადამიანის სოციალური განთავისუფლებისათვის ჩვენი წინამორბედების მიერ შექმნილი თეორიული შემეკვიდრეობის ახლებურად გააზრება. საჭიროა ჩვენი ისტორიის ყველა ფურცლის მართალი და სრული ანალიზი, რათა გამოვავჭუმანიზმი, ადამიანი. თუ ვიხელმძღვანელებთ საზოგადოების სიმწიფისა და სოციალური შედეგიანობის ამ უმაღლესი კრიტერიუმებთ, მაშინ ჩვენ სადღაც სოციალიზმის ბუნებაში ჩაქსოვილ უპირატესობათა ეფექტიანი რეალიზაციის დასაწყისში ვიმყოფებით. ბევრი რამ აქ, რაც იქმნებოდა სასტიკი, ზოგჯერ უბრალოდ გამოუვალი გარემოებების ზეგავლენით, სერიოზული შეცდომების, დეფორმაციებისა და ცდომილებების ზეგავლენით, ზოგჯერ კი უბრალოდ სტიქიურად — აქამდე აღიქმება თეორიისა და პრაქტიკის უდიდეს მიღწევად, ურყევ ჭეშმარიტებებად. არა მარტო უნდა გავიაზროთ ბევრი მოვლენა, არსებითად უნდა გავაანალიზოთ კიდეც ისინი ხელახლა. განსაკუთრებით ეს ეხება დემოკრატიის, ხალხის თვითმმართველობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემათა მთელ კომპლექსს, ახალი წყობილების პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის მთელ სტრუქტურას.

საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა მოითხოვს საზოგადებრივი შეგნების თვისებრივ ძვრასაც: როგორც მასობრივი, ისე თეორიული თვალსაზრისით. ამასთან არა მარტო ახალი განვითარების შედეგების მიხედვით ძვრას, არამედ ძვრას — ასახვას. საჭიროა მომავალ ცვლილებათა უპირატესი სურათიც: სურათი — პროგნოზი — სურათი — პროგრიული ცოდნის ხარისხის კრიტერიუმის ლენინური კონცეფცია, ავაღორძინოთ პრაქტიკისადმი მეცნიერულ-კრიტიკული დამოკიდებულება.

სიტყვით თითქოს არავის და არასდროს ამ მოთხოვნებისათვის არ გადაუხვევია, ზოგიერთები თავდავიწყებამდე მისული გააფთრებით ეფიცებოდნენ ერთგულებას ამ პრინციპს. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ახლა ქრება ფსევდოთეორიული პარაკლისის მოთხოვნა. და ვფიქრობ, ჩვენ ვერ შევძლებთ ამ სნეულების დაძლევას, თუ არ დავამკვიდრებთ მეცნიერებაში დემოკრატიის, შეჯიბრების ატმოსფეროს.

მეცნიერებაში დემოკრატიზმის, საჯაროობის, მორალური კლიმატის საკითხი მარტო ზნეობრივი და პრაგმატული პრობლემა როდია. დღევანდელ პირობებში ეს არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური პრობლემა, რადგან გამოცდილებამ ცხადყო: ამ პრინციპების დარღვევა, მათგან გადახვევა გავლენას ახდენს სამეცნიერო საქმიანობის შედეგებზე, იწვევს თეორიულ სიბრმავეს, აზრის სკლეროზს, მასაზრდოებელ გარემოს უქმნის მეცნიერებაში „ნაყოფიერების შემმუსვრელი“ კანონის მოქმედებას.

დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა უზრუნველყოთ თვით საზოგადოების შესახებ მეცნიერების მთლიანი განვითარება. ეს გამოკვლევების, როგორც თეორიული, ისე ემპირიული გამოკვლევების დისციპლინათშორისობაა. ეს არის გამჭოლი ცნებების კატეგორიების კონცეფციების შემუშავება, რომლებიც კი არ შეაფერხებენ, არამედ შეაჩსუბუქებენ ცალკეულ მეცნიერებათა და მათ წარმომადგენელთა ურთიერთობას. ეს არის წინათ წარმოქმნილ მეცნიერულ მიმართულებათა შესაყარზე ახალი მიმართულებების ფორმირება. ეს არის დაძლევა მეცნიერების ბიუროკრატიზაციისა, რომელიც ნიშნავს შემოქმედებითი მეცნიერული ძიების უძრაობასა და სიკვდილს.

ა. ნ. იაკოვლევმა ყურადღება მიაპყრო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ნამუშევრების ენას, საზოგადოებრიობათმცოდნეობის დისციპლინების სწავლების ენას. დიდმა მოაზროვნეებმა ისტორიაში საუკეთესო ადგილი მარტო გამოკვლევათა შინაარსით როდი დიმკვიდრეს, მათი აზრები ენობრივადაც შესანიშნავია. მეცნიერული ცოდნის შეძენა ვერ ეგუება ვერც სტერეოტიპულ აზროვნებას, ვერც შაბლონურ ფორმას. მისი ნამდვილი ნიშნებია ღრმა შინაარსი, მკაფიო, არასტანდარტული, ხატოვანი ენა.

სხდომაზე გამოვიდნენ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი ვ. ი. დობრენკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ი. კუპცოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ი. აბალკინი, რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე გ. თ. კუცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ე. მ. პრიმაკოვი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრების გამგეები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ტ. მელიუხინი, გ. ხ. პოპოვი, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. შვეცოვა, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი ი. ს. კალაკურა, ჟურნალ „ფილოსოფსკიე ნაუკის“ მთავარი რედაქტორი ვ. ს. გოტი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ვ. ი. ზუბარევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ა. გ. ეგოროვი. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ა. იაგოდინმა.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შესახებ

მთავარია შრომითი რესურსები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი, რომელიც გარდაქმნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ამოცანებს მიეძღვნება, ვფიქრობ, დიდ ყურადღებას დაუთმობს სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას, ეკონომიკის ამ ძირითადი დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს.

მე, როგორც ვეტერან მევენახეს, რომელმაც თითქმის ექვსი ათეული წელი ვაზთან გავატარე, გული მტკივა, როცა ვუყურებ, რა უდიერად ვეკეკვეთ მას. ვენახები კი გავაშენეთ, მაგრამ მის მოვლა-პატრონობაზე სათანადოდ რომ აღარ ვზრუნავთ! ამ საქმეში მხოლოდ ერთეულები რომ სცოდავდნენ, შეიძლებოდა ხმაც არ ამომეღო, მაგრამ ეს ჩვენი სოფლის საერთო სატკივარია და გაჩუმება აღარ შეიძლება. ფიზიკურ ჰექტარზე გადაჭიმული ზვრები მოხუცი ქალების ამარა მივატოვეთ. მამაკაცები და ახალგაზრდობა გარე სამუშაოზე არიან გასული — საშოვარზე, ან საწარმო-დაწესებულებებში (ასე რომ მომრავლდა სოფლად); იქ მათ მუშაობის უკეთესი პირობები აქვთ, არ ათოვთ, არ აწვიმთ, არ სცივათ, არ სცხელათ.

პირადად ჩემს ბრიგადაში 27 წელია გაერთიანებული. ამათგან მეშაკაცი მხოლოდ ოთხია, ისიც — პენსიონერები; 23 ქალიდან უმრავლესობა ან პენსიონერია, ან საპენსიო ასაკს მიღწეული. ბრიგადაზე გაპირონებულ 64 ჰექტარ ვენახს ეს ხალხი უვლის. როგორ დავემდურო, ისინი შესაძლებლობის მაქსიმუმს სცემენენ, მაგრამ დედაკაცის მოვლილი ზვარი განა ისეთი იქნება, თვალსა და გულს რომ ესიამოვნოს?

რატომ ვამბობ ყოველივე ამას? მინდა, პლენუმმა ყურადღება მიაქციოს ამ პრობლემას — შრომითი რესურსების გაახალგაზრდავებას. სოფლიდან გასული კაცი სოფელში უნდა მობრუნდეს, მიწას, ვაზს და სხვა კულტურებს პატრონი სჭირდება.

ოჯახულ შრომას, რომელიც ახლა ფართოდ ინერგება სოფლის მეურნეობაში, მეტი ყურადღება სჭირდება, ბევრი რამ არის დასაზუსტებელი და მოსაგვარებელი. აქ უფრო მეტად უნდა გამოიკვეთოს მშრომელ ადამიანზე ზრუნვა.

სხვა დროსაც არაერთხელ გვითქვამს, რომ მევენახის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სპეციფისაცმლის შემოღება, მაგრამ ნათქვამი ნათქვამად დარჩა ყოველთვის. იქნებ ამ საკითხსაც მივაქციოთ ყურადღება. და კიდევ: სოფლის მეურნეობა გინიცდის სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ტექნიკის ნაკლებობას, ნელი, შეუწყნარებლად ნელი ტემპით ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უამისოდ კი შორს გამიზნული გეგმების განხორციელება მეტისმეტად ძნელია.

ნ. ᲥᲔᲕᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თელავის რაიონის სოფელ აურის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.





● ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲛᲚᲐᲨᲘ ᲐᲐᲒᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ; ᲐᲮᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲝᲣᲒᲕᲐᲜᲔᲡ ᲩᲔᲩᲜᲘᲡ-ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ — ᲐᲮᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲗᲘᲗ ᲘᲕᲚᲘᲡ. (ᲡᲐᲭᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲒᲖᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲒᲕᲘᲜᲔᲠᲒᲐᲕᲘᲡ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

თუ რამდენად მართალია იმის მორალური მტკიცება, რომ ავტომობილი ფუფუნების საგანი კი არა, გადაადგილების საშუალებაა, თვალნათლივ დარწმუნდნენ კავკასიონის მაღალმთიანეთში მდებარე ერთბაშად ათობით სოფლის მცხოვრებლები. 60-კილომეტრიანი ტრასა, რომელიც ეართებს მათ საქართველოს სამხედრო გზასთან, მისი მეშვეობით კი დანარჩენ სამყაროსთან, იგივე მთიელების თქმით, იმედის გზად იქცა.

გასცდებით თუ არა სახელმწიფო ავტონისპექციის საგუშაგოს, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძის მახლობლად, დადგმულია ახალი მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს მარჯვნისაკენ მიმავალ გზას. გზა მკვეთად ეშვება ქვეკეთი, ხეობაში, რათა შემდეგ გრძელ სერპანტინად ავიდეს ათობით კილომეტრზე მაღლა მთებში.

— როგორც კი ძირითად სამუშაოებს დავამთავრებთ, დავიწყებთ მყარი საფარის დაგებას, — თქვა მშენებელმ

 წარდგენილია „ხუთწლედის მატიანის“ პრემიაზე

სოფელი და თანამედროვეობა

ქართულ სოფელზე, მის წარსულსა და მომავალზე ბევრი წიგნი დაწერილა, ბევრი ნარკვევი, დოკუმენტური მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი შექმნილა სოფლის მშრომელთა ყოფაცხოვრების, მათი მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების საკითხებზე, დღევანდელი სოფლის პრობლემებს ეხმაურება პოეტისა და პუბლიცისტის ემენ დავითაძის წიგნი „სოფლის აღმშენებელი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა.

წიგნის თემატიკა მრავალფეროვანია. აქ მხოლოდ სოფელზე როდია ლაპარაკი. იგი მოიცავს ჩვენი კუთხის წარსულსა და დღევანდელობას, რომელშიც უხვად არის გამოყენებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-ლიტერატურული მასალა.

წიგნში ასახულია ის ცვლილებები, რომლებიც ხდება აჭარის მთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-უკონომიკური და კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის დადგენილების შესრულების შედეგად.

წიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი დამაჯერებლად აშუქებს იმ სიძნელეებს, რომლებიც წინ ეღობებოდა აჭარას ერთბანეს, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ. თვალნათლივ ვეცნობით, თუ როგორ წყდებოდა აჭარის მთის სოფლებში სოციალისტური მშენებლობის, სოციალისტური გარდაქმნების რთული ამოცანები, როგორ იწყებოდა მთის სოფლების გარიჟრაჟი, როგორ ეწაფებოდა დედაენას ახალი კაცი, როგორ უცხადებდა ხალხი დაუნდობელ ბრძოლას ყოველივე დრომოჭმულს დიადი რევოლუციის პირველ დღეებში და მომდევნო აღმშენებლობის პერიოდში.

„სოფლის აღმაშენებელი“ ვრცელად არის გაშუქებული თანამედროვე სოფლების აღორძინება, შეგნებული, ორგანიზებული მიგრაცია მთის სოფლებიდან ბარისკენ, საქართველოს ჯერ კიდევ დაუსახლებელ თუ წარსულის ძველებრობის გამო დაცარიელებულ მიდამოებში. ეს კი მართლაც საშვილიშვილო საქმეა, რადგან, როგორც ემენ დავითაძე მართებულად წერს, ქართული მიწის ქართველთათვის შენარჩუნება ამ მიწაზე ქართველთა დასახლებით არის ყველაზე უფრო გარანტირებული. ამიტომაც არის, ალბათ, რომ იგი გამორჩეული სიყვარულითა და უშუალობით წერს საქართველოს კუთხეებზე, ურთიერთერთგულებასა და ჭირსა და ლხინში მხარში ამოდგომაზე, რაც ასე გვჭირდებოდა წარსულში და არანაკლებ გვჭირდება დღესაც.

ემენ დავითაძის „სოფლის აღმაშენებელი“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია, რომელშიც პროფესიული ცოდნით არის გაშუქებული თანამედროვე სოფლის სოციალური, საწარმო-ეკონომიკური, სტატისტიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული საკითხები. ხოლო ამის კვალდაკვალ საუკეთესო თხრობის ფონზე, პუბლიცისტური პირდაპირობითა და პრინციპულობით ნაწარმოებში მარგალიტებივით არის მიმოფანტული ხალხური საუნჯე, ხალხური ანდაზა-თქმულებები, ლეგენდაგადმოცემები, აფორიზმები თუ ხალასი ხალხური იუმორი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს ამ მხრივ მეტად ბევრი უმუშავია, ფაქიზად, თითო-თითოდ შეუგროვებია თითქმის მივიწყებული ხალხური სიბრძნე ამ კუთხისა, გაუერთიანებია იგი და ამ სახით ისევ მეტყველებისათვის, მწერლობისათვის დაუბრუნებია. ბევრი ხალხური სიბრძნე აქ პირველად იბეჭდება. სწორედ ეს გვიბლავს ამ წიგნში, რადგან იგი არა მარტო აჭარელთა წეს-ჩვეულებებს გვიხატავს, არამედ თვითონ ხალხის სიბრძნე-გონიერებასაც გვაცნობს, ეს კი ელფერს მატებს ნაწარმოებს.

წიგნში გარკვეული ადგილი ეთმობა სოციალისტური სოფლის თანამედროვე კურსით სვლის გარდუვალობას, საჯაროობას, დემოკრატიზაციას, ესოდენ რომ გვჭირდება დღეს. ავტორი მკაცრად გმობს ზოგიერთთა გულგრილობას და გულარხეინობას, წიგნში მხილებულია ბუნების ხელყოფის სამწუხარო ფაქტები და დასმულია მისი უკეთესი მოვლა-პატრონობის, გარემოს სიწმინდის საკითხები; მწერალი მართებულად შენიშნავს, რომ ბუნება არ გვაპატიებს ამდენ გულგრილობას და ავად მოსყრიბას. იგი გვიფრთხილებს, რომ ის, რაც წინაპრებმა შემოგვინახეს და ეამთა სიავეს, ომებსა თუ სტიქიას გადაურჩა, უშუალოდ ჩვენი საპატრონოა, ჩვენი მოსავლელია, რომ დღევანდელ მეცნიერულ-ტექნიკურ ეპოქაში ბუნება ადამიანს არა მარტო მარხენალი, არამედ მისი ჯანმრთელობის მკურნალიც არის.

მწერალი ბევრ საჭირბოროტო კითხვას სვამს და თვითონვე უპასუხებს, იძლევა რჩევა-დარიგებებს, რა უნდა გაკეთდეს, როგორი უნდა იყოს ჩვენი სოფლის ხვალინდელი საბრუნავი და მისი აღმშენებლობა, ეკონომიკა, კულტურა, შემოქმედებითი შრომა და ყოფა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ცხოვრებისა და ისტორიის ღრმა ცოდნით დაწერილმა ამ ნაწარმოებმა ბევრ აქტუალურ კითხვას გასცა პასუხი. მას ფართოდ გამოეხმაურნენ ისტორიკოსები, ავტორს შეხვედრები მოუწყვეს სხვადასხვა დაწესებულებაში.

ემენ დავითაძე 14 წიგნის ავტორია. საინტერესო ლექსები, ისტორიული პოემები, რამდენიმე ლიტერატურულ-ფოლკლორული მონოგრაფიაც მისი მონაგარია. პრინციპული შემოქმედი, რედაქტორი, კარგი მოქალაქე — ასე იცნობს მას საზოგადოებრიობა. წინ ახალი გარჯა და ახალი გამარჯვებები ელის „სოფლის აღმაშენებლის“ ავტორს, პოეტსა და პუბლიცისტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

ჯ. ქათამაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

როზერტ სტურუას სცენური ლენინიანას ახალი ფურცელი

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ). მოსკოვის ეკგ. ვახტანგოვის სახელობის აკადემიურ თეატრში მოეწყო სპექტაკლ „ბრესტის ზავის“ პრემიერა, რომელიც დადგა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რობერტ სტურუამ.

სპექტაკლს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

სპექტაკლის დაწყებამდე მოსკოვის თეატრებისათვის ჩვეული ზედმეტი ბილეთის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა. ყოველ შემთხვევაში, მაყურებელთა დარბაზმა ხმლოდ მცირე ნაწილი დაიტია იმათგან, ვინც ელოდა ამ ნაწარმოებს, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ერთ-ერთ კრიზისულ მომენტს აეცოცხლებს, ცოტა არ იყოს უცნაური ბედი ხვდა წელად. დრამატურგ მ. შატროვის მიერ 25 წლის წინათ დაწერილი პიესა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთამბეჭდავი ფურცლების ახალი, დოკმატური მიდგომისაგან თავისუფალი წაკითხვის ცდას. სწორედ ამ თვისების გამო გადაწყდა მაშინ პიესა იმ პერიოდის დაუძლეველ ზღუდეს, რომელსაც ახლა უძარობის პერიოდს ვუწოდებთ — ზოგ-ზოგებს ხელს აღარ აძლევდა მბრძოლი ლენინის სახე. პარტიამ გაიმარჯვა სინამდვილეში, მსჯელობდნენ ისტორიის ჩინოვნიკები და, საბოლოო შედეგს დაჯერებულნი, შიშობდნენ სცენაზე ეჩვენებინათ თვით ბრძოლის მიმდინარეობა, უარყოფდნენ ვლადიმერ ილიას ძისადმი ეკრანზე ან სცენაზეც შეპასუხების იდეასაც კი.

ღრმა აზრი ძევს იმაში, რომ პიესამ ხორცი შეისხა გარდაქმნის ეპოქაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავის წელს, რევოლუციისა, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მეთაურობდა.

ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოების სცენური განხორციელებაც ვერ ეტევა ტრადიციულ-ტრესტომათიული ნორმების ფარგლებში. მსახიობები გრიმს არ იყენებენ და სულაც არ ცდილობენ მიაღწიონ პორტრეტულ მსგავსებას თავიანთ გმირებთან — ისტორიულ პირებთან. რევოლუციის ბელადის თანამოსაგრეებთან და იდეურ მოწინააღმდეგეებთან. სპექტაკლის შემქმნელები სხვა ამოცანას ისახავდნენ მიზნად — მათ სურდათ ეჩვენებინათ იმ ბრძოლის მიმდინარეობა, რომელსაც ვ. ი. ლენინი აწარმოებდა ბრესტის ზავის დადების აუცილებლობის დასამტკიცებლად, როცა ისტორიის სასწორზე იდო საბჭოთა რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. წყვეტენ რა ამ არცთუ ისე ადვილ ამოცანას, მსახიობები თითქოსდა ხიდს დებენ იმ ეპოქიდან დღევანდელობაში, როცა ღორძინდება ლენინზის შემოქმედებითი სულისკვეთება და პარტიასაც ვახტანგოველთა ახალი ნამუშევრის ნახვა სურდა.

ამ ნაწარმოებს, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის აეცოცხლებს, ცოტა არ იყოს უცნაური ბედი ხვდა წელად. დრამატურგ მ. შატროვის მიერ 25 წლის წინათ დაწერილი პიესა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის თამამბეჭდავი ფურცლების ახალი, დოკმატური მიდგომისაგან თავისუფალი წაკითხვის ცდას. სწორედ ამ თვისების გამო გადაწყდა მაშინ პიესა იმ პერიოდის დაუძლეველ ზღუდეს, რომელსაც ახლა უძარობის პერიოდს ვუწოდებთ — ზოგ-ზოგებს ხელს აღარ აძლევდა მბრძოლი ლენინის სახე. პარტიამ გაიმარჯვა სინამდვილეში, მსჯელობდნენ ისტორიის ჩინოვნიკები და, საბოლოო შედეგს დაჯერებულნი, შიშობდნენ სცენაზე ეჩვენებინათ თვით ბრძოლის მიმდინარეობა, უარყოფდნენ ვლადიმერ ილიას ძისადმი ეკრანზე ან სცენაზეც შეპასუხების იდეასაც კი.

ღრმა აზრი ძევს იმაში, რომ პიესამ ხორცი შეისხა გარდაქმნის ეპოქაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავის წელს, რევოლუციისა, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მეთაურობდა.

ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოების სცენური განხორციელებაც ვერ ეტევა ტრადიციულ-ტრესტომათიული ნორმების ფარგლებში. მსახიობები გრიმს არ იყენებენ და სულაც არ ცდილობენ მიაღწიონ პორტრეტულ მსგავსებას თავიანთ გმირებთან — ისტორიულ პირებთან. რევოლუციის ბელადის თანამოსაგრეებთან და იდეურ მოწინააღმდეგეებთან. სპექტაკლის შემქმნელები სხვა ამოცანას ისახავდნენ მიზნად — მათ სურდათ ეჩვენებინათ იმ ბრძოლის მიმდინარეობა, რომელსაც ვ. ი. ლენინი აწარმოებდა ბრესტის ზავის დადების აუცილებლობის დასამტკიცებლად, როცა ისტორიის სასწორზე იდო საბჭოთა რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. წყვეტენ რა ამ არცთუ ისე ადვილ ამოცანას, მსახიობები თითქოსდა ხიდს დებენ იმ ეპოქიდან დღევანდელობაში, როცა ღორძინდება ლენინზის შემოქმედებითი სულისკვეთება და პარტია — თვით პიესის შინაარსმა მაშინვე აღმძრა შემოქმედებითად მტანჯველი კითხვა,—თქვა მიხეილ ულიანოვმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას. — როგორ ვითამაშო? მთავარი იყო მტამსს აკადენოდი. საამისოდ კი შინაგანად უნდა გარდავქმნილიყავი. ი ლენინი ამ პიესაში. იგი ფიქრობს, კამათობს, მას შეუძლია გაიღიზიანოს, ძირს დასცეს მოწინააღმდეგე. მოწინააღმდეგეებად კი ძლიერი, ჭკვიანი, დიდად განათლებული ადამიანები ჰყავს. ასეთი ხალხის დარწმუნება, მორალური დამარცხება ადვილი არ გახლავთ. ლენინის მეტყველება სადაა, მაგრამ მის სიტყვებს ვწვდები, ვცდილობ საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობაში გავეგრკვე. მე ისტორიული თემის დრამატურგად მთვლიან, თუმცა სამი თოლეულის მანძილზე სულ ხუთი ასეთი პიესა დავწერე. ისინი შეგვიძლია გავაერთიანოთ ციკლად „რევოლუციის დრამები“. პირველი იყო „ბრესტის ზავი“ — ყველაზე ძნელი ბედის პიესა. იგი ქურნალ „ნოვი მირში“ მხოლოდ წლეულს გამოქვეყნდა, მანამდე მისი ვერც დაბეჭდვა მოხერხდა და ვერც დადგმა. მაგრამ, საბედნიეროდ, ვ. ი. ლენინის ციტატებად კითხვის დრო დამთავრდა, თუმცა, როგორც ვიცით, კვალიფიციური ისტორიკოსები და ფილოსოფოსებიც კი ყოველთვის ვერ ელევიან მას. დაიწყო ლენინის სიღრმისეული შესწავლის ეპოქა. და ჩვენმა შემოქმედებამ ამ მიმართულებით უნდა შეუპირაპიროს ლენინის ეპოქის სულისკვეთება დღევანდელობას. პიესა, რომელსაც მკითხველი გაეცნო, არსებითად მის პირველად რედაქციას წარმოადგენს. გადაკეთება სულ უმნიშვნელო იყო. უნდა შევნიშნო, რომ პრაქტიკულად ყოველთვის, აკრძალვების მიუხედავად, გამოიძებნებოდა ხოლმე ხალხი, ისინი ვინც მეხსიერებოდა პიესებისა და ფილმების მაყურებლამდე მიტანაში.

მაყურებლის მჭუხარე და ხანგრძლივი ტაში, სპექტაკლის შემქმნელთა მისამართით რომ გაისმა, სიტყვიერად ასე გამოიხატა:

იგორ ოტკალენკო, ინჟინერი:

— უკვე ხანში შესული კაცი ვარ და თითქმის ყველა სპექტაკლი და ფილმი მინახავს, რომლებშიც ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა პერიოდი იყო წარმოდგენილი. რევოლუციის ბელადის სახეს ყოველთვის ერთნაირად როდი წარმოიჩენდნენ, იქმნებოდა როგორც წარმატებული, ისე ნაკლებწარმატებული სახეები. მაგრამ შაბლონისა და სქემატიზმისაგან ესოდენ თავისუფალი ხორცშესხმა ჯერ არ მინახავს.

ანატოლი კოტოვი, მასწავლებელი:

— სპექტაკლში ვ. ი. ლენინი ვნახეთ ანა როგორც ადამიანი, რომლის მითითებებს გარეშემოყოფნი უსიტყვოდ ასრულებენ, არადა როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც თავის თვალსაზრისს იცავს ღირსეულ მოწინააღმდეგეებთან კამათში და არცთუ ისე ადვილ გამარჯვებას აღწევს. ეს მართალი სახეა.

ელენე ზუბკოვა, მშენებელი:

— მადლობა სპექტაკლის შემქმნელებს! თუ ბრძოლა და აზრთა ჭიდელი არ იქნა, ვერც წინსვლა იქნება. აი, რას გვასწავლის ეს ნაწარმოებები.

(საქინფორმი).

მასალა მოამზადეს ელენე ბერნასკონმ, ოლგა სვინტუნოვამ, თენგიზ გრიგალაშვილმა.

მუსიკა

მოთხრობა დროის შესახებ

საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ფართო პანორამა წარმოუდგენეს მსმენელებს რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის შემოქმედებითი პლენუმის კონცერტებმა. პლენუმი გაიხსნა გასულ შაბათს კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ეს შემოქმედებითი ანგარიში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს მიეძღვნა.

ჩვენი დრო, თანამედროვეთა საქმეები ყველა ჟანრში შექმნილ ნაწარმოებთა მთავარი გმირი გახდა.

საკონცერტო აფიშაში მხცოვან ხელოვანთა გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს მომდევნო თაობათა წარმომადგენლებმა. კონსერვატორიის დიდ დარბაზში კვირას გამართულ კონცერტზე სწორედ მათი ნაწარმოებები შესრულდა. საქართველოს სახტელერადიოს რეჟან ლაღიძის სახელობის სიმფონიურმა ორკესტრმა მსმენელებს გააცნო კომპოზიტორ რაულ ითაბეკოვის სიმფონიური პოემა „დიდოსტატის ხსოვნას“.

კომპოზიტორ ელიზბარ ლომდარიძის ერთ-ერთი ახალი ნამუშევარი — მესამე სიმფონია ეძღვნება გამათავისუფლებელ საბჭოთა ჯარიკაცს და ადიდებს მის გმირობას.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების თემა გასდევს აგრეთვე კომპოზიტორ კახი როსებაშვილის მეოთხე სიმფონიას.

კამერული მუსიკის მოყვარულები შეიკრიბნენ კონსერვატორიის მცირე დარბაზში, სადაც გამოვიდა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს სახტელერადიოს სიმფონიანი კვარტეტი ლევან ჩხეიძის, გიორგი ხინთიბიძის, არჩილ ბარაძისა და რევაზ მაჩაბლის შემადგენლობით.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა უჩვენა შოთა მილორავის მიუზიკლი „კახაბერის ხმალი“.

პლენუმის პროგრამის მოსმენა დამთავრდა 1 დეკემბერს საგუნდო და კამერული მუსიკის საღამოთი, რომელიც გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში.

(საქინფორმი).

იცავენ მიწოდებათა გრაფიკს

ჩაქვის ჩაის საწნეხმა ფაბრიკამ და ზუგდიდის ჩაის კომბინატმა მონლოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გაგზავნეს საშემოდგომო მოსავლისაგან გამომუშავებული მწვანე აგურა ჩაის დიდი პარტია. ზუსტად ასრულებენ რა საექსპორტო მიწოდებათა გრაფიკს, სეზონის დამდეგიდან მათ მოამზეს ქვეყანაში გაგზავნეს დაახლოებით 3.600 ტონა ეს პროდუქცია.

საწარმოთა კოლექტივებს გათვალისწინებული აქვთ ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო პროგრამის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად შეასრულონ უკვე დეკემბრის მესამე დეკადის დამდეგისათვის. სულ რესპუბლიკაში წლიური გეგმის თანახმად უნდა გამოიმუშაონ 10 ათასი ტონა მწვანე აგურა ჩაი.

▼▼

საზოგადოება „ზრუნვა“

იშვა დედაქალაქის უდიდეს გლდანის საცხოვრებელ რაიონში მიკრორაიონების საბჭოებისა და ქალთა საბჭოების წევრთა ინიციატივით. რაიონში მოწყობილი ერთი კომუნისტური შაბათობის სახსრები შეადგენს მისი განვითარების ფონდს. ხანდაზმული ასაკის მარტოხელა ადამიანებს, რომლებსაც მცირე პენსია აქვთ, ამიერიდან შეუძლიათ არა მარტო ირგვლივ მყოფთა ყურადღების, არამედ მატერიალური დახმარების იმედიც იქონიონ, თანაც როგორც ბინის ქირის და კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდასა და მედიკამენტების შეძენაში, ისე ტანსაცმლის, სურსათ-სანოვაგის ყიდვის დროსაც. ფონდის მიზნობრივი გამოყენებისადმი კონტროლი ეკისრება რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

გლდანელთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს, ობილისის დანარჩენ რაიონებშიც.

▼▼

ძველი ხიდის ახალი სიცოცხლე

ალგათი, ბევრს ემახსოვრება ოთხი ათეული წლის წინათ ზესტაფონში მდინარე ყვირილაზე გადებული ხის ხიდი, რომელიც შემდეგ რკინა-ბეტონის ხიდით შეიცვალა.

გამოხდა ხანი და თანამედროვე საავტომობილო ტრანსპორტის მომძლავრებული ნაკადის გამო დღის წესრიგში დადგა ქალაქის ცენტრალური ხიდის რეკონსტრუქციის საკითხი და იგი კიდეც გადაწყდა.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს „გვირაბხიდმშენინდუსტრიის“ კომბინატის მშენებლებმა და ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით აიგო ძველთან შედარებით ბევრად ფართო და გამტარუნარიანი თანამედროვე ტიპის ნაგებობა, რომელიც დამშვენებულია ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის მიერ დამზადებული დეკორატიული ნათურებითა და მოაჯირებით.

▼▼

დაგეხმარებათ „ოლიმპო“

ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა ნომერი ორი — ასეთია კოოპერატივ „ოლიმპოს“ მისამართი.

— ჩვენი კოოპერატივის შექმნის საჭიროება დროით არის ნაკარნახევი, — თქვა მისმა თავმჯდომარემ, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ომარ ცხადაძემ, — წარმოიდგინეთ, რომ დაგჭირდათ მნიშვნელოვანი ინფორმაციის, სტატიის ან სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის პირი, რომელიც მეტად აუცილებელია მუშაობაში. მაგრამ ხშირად ხდება, რომ იგი იმ ენაზე არ არის, რომელზეც თქვენ გჭირდებათ. ჩვენი კოოპერატივი, რომელიც ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებასთან არის შექმნილი და კომპეტენტურ სპეციალისტებს აერთიანებს, დაუყოვნებლივ დაგეხმარებათ ასეთ შემთხვევაში.

სპეციალისტები აქ სხვადასხვა ენიდან თარგმნიან მხატვრულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სპორტულ და სხვა ლიტერატურას.

კოოპერატივი შეკვეთებს იღებს ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხდება დამტკიცებული ტარიფის მიხედვით.

▼▼

მემორიალური სტელა

ალიმართა აბაშაში ახალგაზრდული ორგანიზაციის „სპარტაკის“ — საქართველოს კომკავშირის წინამორბედის—პირველი წევრების პატივსაცემად. ასე უკვდავყვეს თანამემამულეებმა აბაშელების ფ. ფრანგიშვილის და დ. კაჭარავის, ვ. კიზირიას ხსოვნა.

რუბრიკისათვის მასალები მოამზადა თ. მეტრეველმა.



თეატრალური ხელოვნების მოყვარულებს მოსწონთ რუსთაველის სახელობის თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის შემოქმედება. იგი სახელგანთქმული თეატრის მცირე სცენაზე უჩვენებს ხოლმე თავის სპექტაკლებს. ასეა ახლაც — ახალგაზრდებს „ანა ფრანკის დღიურის“ პრემიერა აქვთ. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ეორდანიამ. მხატვრულად გაფორმა შ. გლურჯიძემ, მუსიკის ავტორია რ. გევენიანი. ანა ფრანკის როლს ასრულებენ ნ. ხუსკივაძე და ნ. თარხანმოურავი. ქალბატონ ფრანკს თამაშობს ნ. შონია, ბატონ ფრანკს — ი. მაჭარაშვილი.

საინფორმის ფოტოკორესპონდენტის ვ. პეტროსიანის ფოტოზე აღბეჭდილია სპექტაკლის სცენა.



ბოლო ხანს კიდევ უფრო დამშვენდა საქვეყნოდ ცნობილი კურორტი წყალტუბო. გუშინ მივიღეთ საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის გ. ჯერსამიას ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია წყალტუბოს კიდევ ერთი ახალშენებლობა — სამასადგილიანი სანატორიუმი „სამგურალი“.

მეძღოლებო, ნუ დაიოგლებთ ოჯახებს!

ბახუსის მოტრფიალე მძღოლები კვლავ არ იშლიან თავისას. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტონსაქციის სამმართველოდან გვაცნობებენ რეიდების შედეგად გამოვლენებული მთვრალი მძღოლების ვინაობა. აი ისინიც:

ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში დაიკავეს გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი **ზურაბ დურმიშხანის ძე ხასაყდაშვილი,** რომელიც თინი ივანეს ასულ მღებრიშვილის „ეიგულს მართავდა; თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშა, წყნეთის გზატკეცილის № 1 ჩიხში მცხოვრები **ნოდარ გიგლას ძე ბექაური** მართავდა ნასყიდი იორდანეს ძე ელიზბარაშვილის „გაზ-21“ მარკის „ვოლგას“, ბორჯომის მთავარი არქიტექტორის მოადგილე, თბილისში, მუხიანის დასახლებაში მცხოვრები **ნიკოლოზ შოთას ძე გელაშვილი;** ასევე მთვრალი მართავდა ხაშურის ნავთობსადენის სამმართველოს „ბელორუსის“ მარკის უნიმრო ტრაქტორს **ზურაბ არსენის ძე გრიგალაშვილი.**

ქარელის რაიონის სოფელ არადეთში დაიკავეს ქარელის სოფლტექნიკის რემონტიორი, ბრიგადელი **ალექსი ტრისტანის ძე ომირლიშვილი,** რომელიც მამის კუთვნილ „გაზ-24 მარკის „ვოლგას“ მართავდა; დაბა აგარაში ჩამოსვეს საჭიდან ქარელის რაიონის ფცის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი **ჯუმბერ გიორგის ძე თხელიძე;** ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერთან მთვრალი მართავდნენ ავტომობილებს წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის დამამზადებელი **ვლადიმერ გელას ძე ძმანაშვილი,** ბორჯომის კურორტვაჭრობის № 4 სამწვადის მებუფეტე **ავთანდილ მიხეილის ძე გოგოლაძე;** ავტოინსპექციის ნატაბტრის საგუშაგოსთან დაიკავეს ქსნის სარეალიზაციო ბაზის მუშა, მუხრანელი **გია ალექსანდრეს ძე მზარეულოვი,** ხოლო მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანთან — ყინვალეპესის შემდუღებელი **ჯიმი ტარიელის ძე ტაბატაძე,** რომელიც მოტოროლერს მართავდა.

ვიმედოვნებთ, რომ „კომუნისტის“ რედაქციას მიღებული ზომების თაობაზე პასუხს გამოუგზავნიან წარმოება-დაწესებულებები, სადაც ლოთი მძღოლები მუშაობენ.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ცეკავშირის გამგეობაში შექმნილია წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების განყოფილება, რომელიც სხვადასხვა სახის კოოპერატივების შექმნისა და კოორდინაციის საკითხებზე მოქალაქეებს, კოოპერატივებს და ორგანიზაციებს უწევს კონსულტაციას.

განყოფილება მდებარეობს ცეკავშირის შენობაში, ქ. თბილისი, ლენინის მოედანი 7, ოთახი 429.

ცეკავშირის გამგეობა

გუშინ, დღეს, ხვალ

ქართული ბიბლიოთეკა

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ე. ზ. მაჩაბელი

გარდაიცვალა ცნობილი მოქანდაკე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ელენე ზაქარიას ასული **მაჩაბელი.**

ელენე ზაქარიას ასული მაჩაბელი დაიბადა 1906 წელს რკინიგზის მუშის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1924 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან გადადის ქანდაკების ფაკულტეტზე პროფესორ ნ. ყანდლაკის კლასში. სწავლის პერიოდში პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის საშუალო სკოლებში. 1931 წელს ამთავრებს სამხატვრო აკადემიას და ინტენსიურად ებმება შემოქმედებითს საქმიანობაში. ამ დროდან მოყოლებული იგი სისტემატურად მონაწილეობდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და საზღვარგარეთულ სამხატვრო გამოფენებში.

1949 წელს მცხეთაში იდგმება მის მიერ შესრულებული ქართველი სახალხო გმირის არსენ ოძელაშვილის ძეგლი. მისი ნაშუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდა ცხოვრებისეული სამართლითა და შემოქმედებითი რეალისტური ხედვით. მისთვის ერთნაირად საინტერესო იყო როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ცხოვრების მიერ წამოჭრილი თემები. ხელოვნების მოყვარულთ ახსოვთ დიდი ოსტატობით შესრულებული მისი „წითელარმიელი“, „კომკავშირელი გოგონა“, „კალათბურთელი“, ერთფიგურიანი კომპოზიცია „შვიდობის ესტაფეტა“, „ცისია“, „ჩემი ქვეყნის ქალიშვილი“, „მარინა“ და სხვა მრავალი.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე და შემოქმედი, ახალგაზრდებისადმი გულისხმიერი ადამიანი. იგი მუდამ ეხსომებათ იმათ, ვინც ერთხელ მაინც ზიარებია ელენე მაჩაბლის ცხოვრებისეული დამაჯერებლობით აღსავსე ნაწარმოებებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს მხატვართა კავშირი; საქართველოს სამხატვრო ფონდი.

სპორტი

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

კალათბურთი. ხვალ დონეცკში, რიგასა და ტალინში გაგრძელდება უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. თბილისის დინამოელები დონეცკში იასპარეზებენ. მათი მეტოქეები იქნებიან ცსკა, მოსკოვის „დინამო“ და ადგილობრივი „მატტორი“. 4 დეკემბერს თბილისელები შეხვდებიან „შატტიორს“, 5 დეკემბერს — მოსკოვის დინამოელებს, 6 დეკემბერს კი — ცსკას. შეგახსენებთ, 7 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანამიმდევრობით არიან განლაგებული: ცსკა და კაუნასის „ჟალგირისი“ — 14-14 ქულა, თბილისის „დინამო“ და კიევის ასკ — 12-12, ლენინგრადის „სპარტაკი“, მინსკის „ტრი, კიევის „სტროიტელი“ და რიგის ვეფი — 10-10, ტალინის „კალევი“, მოსკოვის „დინამო“ და ვილნიუსის „სტატიბა“ — 9-9, დონეცკის „მატტიორი“ — 7 ქულა.

ფეხბურთი. სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა, რომელიც ამბანაგური მატჩების გასამართავად იმყოფება ტუნისში, ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 2:0. ბურთაები გიორგანეს ტატარჩუკმა და ივანაუსკასმა. რაც შეეხება თვით ოლიმპიურ ტურნირს, ჩვენი ნაკრები მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ასაპარეზობს, 5 მატჩიდან 9 ქულა აქვს დაგროვებული და ერთპიროვნული ლიდერია. მომდევნო ადგილებზე არიან შვეიცარიელები — 6 ქულა (6 მატჩიდან), ნორვეგიელები — 4 (6-დან), თურქები — 3 (4-დან) და ბულგარელები — 3 (3-დან). სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს ჯგუფში კიდევ 3 მატჩი აქვს გასამართავი: 1988 წლის 6 აპრილს ჩვენი ოლიმპიელები უმასპინძლებენ თურქებს, 27 აპრილს — ბულგარელებს, 10 მაისს — შვეიცარიელებს.

ათლეტური ტანვარჯიში. 5-6 დეკემბერს გაიმართება საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, სოფლაღის, თელავის, მოსკოვის, ირკუტსკის, ჩელიაბინსკის და ქვეყნის სხვა ქალაქების სპორტსმენები. ეს ასპარეზობა მოეწყობა კიროვის სახელობის პარკში მდებარე კალოძელაშვილის ძეგლი. მისი ნაშუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდა ცხოვრებისეული სამართლითა და შემოქმედებითი რეალისტური ხედვით. მისთვის ერთნაირად საინტერესო იყო როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ცხოვრების მიერ წამოჭრილი თემები. ხელოვნების მოყვარულთ ახსოვთ დიდი ოსტატობით შესრულებული მისი „წითელარმიელი“, „კომკავშირელი გოგონა“, „კალათბურთელი“, ერთფიგურიანი კომპოზიცია „შვიდობის ესტაფეტ